

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ძ. ლომთათიძე

კომპლექსთან გომდინარე
ბილაბიალური ხუზულები
ქართულურ ენებში



თბილისი
„მეცნიერება“
1984

4 Ⴀ
81.2rp—1
499.962.1—4
ლ. 314

ნაშრომში დადგენილია ქართველურ ენებში მოკმე-
დი ერთი სპორადული ხასიათის ფონეტიკური პრო-
ცესი — უკანაენისმიერ და ფარინგალურ ხშულთა
ლაბიალური კომპლექსების შერწყმის ნიჰიდაგზე ბე-
ლაბიალური ბ ფ კ ხშულების მიღება.

მასზე დაყრდნობით გაანალიზებულია რიგი სახე-
ლისა და ზმნის ფუძე და მოცემულია ცდა მათი ამო-
სავალი სახის აღდგენისა.

რედაქტორი პროფ. ზ. ჯ ა შ ა რ ი ძ ე

შესავალი

ნაშრომის მიზანია ქართველურ ენათა რიგ ფუძეში არსებული ბაგისმიერი ხშულების წარმომავლობის ძიება (მათი უკანარიგის თანხმონებთან ურთიერთობის თვალსაზრისით).

იბერიულ-კავკასიურ ენებში ცნობილია ლარინგალურთა, ფარინგალურთა და უკანაენისმიერთა წინარიგის ხშულებსა და სპირანტებში გადასვლის ფაქტები. მონათესავე ენათა ბგერათშესატყვისობების, საერთო ამოსავალი მასალის დადგენა სრულყოფილი ვერ იქნება, სანამ ბგერათა ეს წინ გადმოწევის პროცესები, — ხშირად დაკავშირებული გარკვეულ პოზიციასთან, — არაა მთლიანად და გამოწვლილვით შესწავლილი.

ჩვენ აქ შემოვიფარგლებით იმ კანონზომიერების გარკვევით, რაც ზოგჯერ უკანარიგის ხშულთა ცვლილებას მოჰყოლია კომპლექსებში.

კომპლექსების სახით აქ მხედველობაშია ლაბიალური კომპლექსები, ე. ი. კომპლექსები, რომელთა მეორე წევრად გამოდის ვ(უ).

ირკვევა, რომ საკმაოდ ხშირად ქართველურ ენებში ბაგისმიერ ხშულთა სამეული ბ ფ პ იქა გვაქვს, სადაც ამოსავალში სავარაუდებელია შესაბამისი გვარობის უკანაენისმიერი ან ფარინგალური ხშული, რომელსაც მოსდევს ლაბიალური ვ/უ (ე. ი. იქმნება ლაბიალური კომპლექსი).

ამ რიგის კომპლექსის შერწყმის ნიადაგზე მიიღება მარტივი ბაგისმიერი ხშულები შესაბამისი გვარობისა — ბ ფ პ.

ეს თვალსაჩინოა, როცა კომპლექსის მომდევნოდ არალაბიალური ა ე ი ხმონებია. ლაბიალურ უ-სა და..-ს შემთხვევაში, ბუნებრივია, ხმონურ ელემენტად გარკვეულს პირობებში რჩება უ და ა.

აღნიშნული კომპლექსები საფუძველი გამოდის მარტივი თანხმონებისა.

ქართველურ ენათა გარკვეულ ფუძეებში ამ რიგისად გვესახება:

ბ < გვ (||*გვ?), ფ < ქვ (||ქვ), პ < კვ (||ქვ)

მსგავსი ბგერათცვლილებები ცნობილია სხვადასხვა ოჯახის ენებში. კერძოდ, დასტურდება ინდოევროპულ ენებში; ფართოდაა გავრცელებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ამგვარ ცვლილებას ხშირად მითითებულ ენებში სისტემური ხასიათი აქვს და გარკვეულ კანონზომიერებად წარმოგვიდგება, რაც, როგორც ცნობილია, სათანადო შესატყვისობასაც ქმნის ენობრივ ერთეულთა შორის.

ამავე დროს ბგერათშერწყმის ეს პროცესი შეიძლება არასისტემური ხასიათისაც იყოს და ხორციელდებოდეს მხოლოდ ცალკეულ ფუძეებში (შესაბამის პირობებში). და ეს შეიძლება გვხვდებოდეს იმ ენებშიაც კი, რომლებსთვისაც ცნობილია მისი ასეთი სისტემურობა სხვა შემთხვევაში.

ქართველურ ენებში არაა დამახასიათებელი ბგერათა შერწყმის აღნიშნული პროცესის სისტემური გატარება, თუმცა იგი საკმაოდ ხშირად უნდა გვხვდებოდეს.

ბილაგიალური ბ მომდინარე „გვ“ ლაბიალური კომპლექსიდან

ბიბინი

ბ ი ბ ი ნ ი ქართული ენისა საბას განმარტებით არის „ყვა-ვილთ ფერადობა“. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, იგი გაორკეცებული ბინ ფუძეა, რომელიც ამოსავალში უკავშირდება ყ ვ ა ვ ი ლ ი ს გაგებას. აღნიშნული ფუძე ნ-ს ლ-დ ცვლილი სახეობით გვაქვს იმერ. ბ ი მ ბ ი ლ („თხმელისა და თხილის ყვა-ვილი“) და მეგრ. ბ ი ბ ი ლ („თხილის ყვა-ვილი“) სიტყვებში! (აქვე შემოდის ქვ. სვ. ბ ი მ ბ ი ლ („ყურძნის ან ბლის მარცვალი“).

ბინ-||ბილ- ფუძეში ბ მიღებული ჩანს გვ ლაბიალური კომპლექსისაგან. ხსენებული ამოსავალი სახეობა (ამავე მნიშვნელობით და ასევე გაორკეცებული სახით) შემორჩენილია მეგრულში: გვიგვილი².

ქართ. ბიბინ-ის ამოსავლად შესაბამისად სავარაუდებელია *გვი[ნ]-გვინი.

ბორბალი

ნ. მარს თავის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში“ ჰქონდა მითითებული ბ ო რ ბ ა ლ, გ ო რ გ ა ლ, გ ო რ გ ო რ ა ფუძეთა იგივეობაზე და მას მიიჩნევდა ანტიპოდ ბგერათა გადანაცვლების ფაქტად³.

მსგავს ცვლილებათა კანონზომიერების ნიადაგზე აშკარა ჩანს აღნიშნულ ბგერათა მონაცვლეობის მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ც: ბ ო რ ბ ა ლ < გ ო რ - გ ო ლ (< * გ ო რ - გ ო რ) < * გ ვ ო რ - გ ვ ა ლ < * გ ვ ო რ - გ ვ ა რ < * გ ვ ა რ - გ ვ ა რ (შდრ. გ ო რ გ ო ლ ა).

1 არნ. ჩიქობავა, ერთი ძველი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძის შესახებ მევენახეობის ტერმინში, ივე, VI, თბ., 1954, გვ. 44—48.

2 ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-П., 1914, с. 216.

3 Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, с. 020.

რაც შეეხება გორგალ ფუძეს, აქ მეორე მარცვალში მომხ-
დარა გვ ლაბიალური კომპლექსის დელაბიალიზაცია: გორგალ
<* გორგვალ <* გვარ-გვალ/რ.

ბურკა

ქართული ენის გურულსა და იმერულ დიალექტებში კურკის
აღსანიშნავად გვხვდება ბურკა⁴. ეს იგივეა ფუძის მიხედვით, რაც
თვით კურკა, ოღონდ მას საფუძვლად უდევს ამ სიტყვის მკლერი
სახეობა გურკა. იგი კიდევ დასტურდება ქართულში. საბას გან-
მარტებით გურკა არის „ხილის კაკალი“. B რედაქცია უმატებს:
„რომელ არს კურკა“⁵.

ბიგვავა

გვარი ბიგვავა უნდა მომდინარეობდეს *გვიგვა-საგან და,
როგორც მთელი რიგი გვართა სახელები, ნაწარმოები უნდა იყოს ადა-
მიანის (ჩვეულებრივ მამაკაცის) საკუთარი სახელისაგან.

საყურადღებოა, რომ ასეთი სავარაუდებელი მამაკაცის საკუთარი
სახელი გვიგვა დასტურდება XVI საუკუნის ძეგლში — „გვიგვა სი-
კინავა“⁶.

ბაბუცა

გოგო სახელიდან ნაწარმოებმა კნინობითმა ქალის საკუთარმა
სახელმა „გოგუცა“-მ გ-საგან ლაბიალურ გარემოცვაში (შესა-
ძლოა *გუგუცა სახეობის ნიადაგზე) მოგვცა ბაბუცა — ქალის ასევე
კნინობით-მოფერებითი საკუთარი სახელი.

ბაბუციძე

არსებობს გვარები ბაბუციძე და გუგუციძე. საფიქრ-
ბელია *გუგუცა ამოსავალი ფუძე გვარის — გუგუციძისა — იყოს
იგივე ქალის სახელი გოგუცა, რომელმაც მოგვცა ბაბუცა,
იმპეე ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი გვარის სახელებიც — გუ-
გუციძე > ბაბუციძე.

⁴ ვუკ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი.
1912; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით,
I, თბ., 1955.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. იოსებ ყიფშიძისა და
აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

⁶ ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი დათარი, თბ., 1914, გვ. 19.

ბობოხია

-ხია რთული სუფიქსით ნაწარმოები გვარის სახელი გოგოხია თავისი ლაბიალური გარემოცვით (გოგო...) უნდა დასდებოდა საფუძვლად „ბობოხია“-ს, რომელიც მეგრული სახეობაა გვარის სახელის ბობოხიისა.

უბილავა

გვარი უ გ უ ლ ა ვ ა ჩვეულებრივ მწიგნობრულად და ოფიციალურადაც ამ სახით იყო წარმოდგენილი. ამავე დროს იგივე გვარი მეგრული გამოთქმით არის უბილან ვ ა || უბულან ვ ა (ქალი — უბილან ხე || უბულან ხე). მისი უ ბ ი ლ ა ვ ა სახეობა დადასტურებული აქვს ი. ყიფშიძეს⁷. ერთი და იგივე პირი გამოთქმისას ამბობს როგორც უბილან ვ ა -ს, ისე უგულავას, მაგრამ ჩვეულებრივ წერს უ გ უ ლ ა ვ ა ს (უ ბ ი ლ ა ვ ა ს ა თ ვ ი ს ამოსავალი *უ გ ვ ი ლ ა ვ ა სახეობის საფუძველზე).

უ ბ ი ლ ა ვ ა ვარიანტი დღეს ისე გავრცელდა ამ გვარისათვის (უ გ უ ლ ა ვ ა ს ა თ ვ ი ს), რომ იგი უკვე პარალელური, სხვა გვარის სახით გვევლინება.

მის შედარებით იშვიათ ვარიანტში უ ბ უ ლ ა ვ ა -შიაც ბ მომდინარეობს გვ კომპლექსიდან, ოღონდ მომდევნო ხმოვანი წარმოდგენილია უ-ს სახით (<უგულავა <*უგვულავა <*უგვილავა, შდრ. გ ვ ი ლ ა ვ ა). ლა-გვილავა-ს მსგავსად უგულავა (>უბილავა)-ში უნდა გამოიყოს ო- პრეფიქსისგან ასიმილაციით მომდინარე უ-. სავარაუდოა ამ გვარის ქართ. სა- პრეფიქსიანი ვარიანტიც.

ბეგვავს

„ლეკებმა მ ბ ე გ ვ ე ს, ჯერ იმათ ვერ და მ ბ ე გ ვ ე ს... დათვმაროგორ უნდა და მ ბ ე გ ვ ო ს?“ (ვაჟა-ფშაველა).

ბეგვავს ზმნა უნდა მომდინარეობდეს „*გვეგვავს“ — სახეობიდან. ამას ადასტურებს მისი მეგრული შესატყვისის „გვაგუნს“ <*გვაგვ-უ-ნს (შდრ. დო-გვაგვი! „დაბეგვე“!). ი. ყიფშიძეს მოჰყავს გ ვ ა გ ვ ა ფ ი „ბეგვა“ და გ ვ ა გ ვ ი ლ ი ს „ნაბეგვი“, „დაბეგვილი“.

ამ ფუძესთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თვით მოქმედების სიძლიერ-განმეორებული ხასიათის გამო აქ ჩვენ იგი გაორკეცებული სახით წარმოგვიდგა, რომელშიაც დისიმილაციით პირველი *გვ- ბ-დ შეიცვალა.

⁷ იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 423.

⁸ იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 215.

ამ თვალსაზრისით გაჩნდება შესაძლებლობაც ამ ძირეული გვ
მონაკვეთის ძველი ქართულის გუჟმა ფუძის პირველ ნაწილთან იგი-
ვეობისაც.

ბელტი

ბ ე ლ ტ ს ასე განმარტავს საბა: „კორდის მონაკუეთი“.

ბელტის ამოსავალი სახეობის ძიებისას საყურადღებოა მეგრულის
მონაცემები. მეგრულში ამავე მნიშვნელობით გვხვდება ბერტი და
ბერთი⁹. სავარაუდებელია თავიანთი ე გახმოვანებით ეს სიტყვები შე-
სული იყოს მეგრულში ქართულიდან, რამდენადაც იმავე მეგრულში
გვხვდება ამ ფუძის ზანური სახეობაც ხმოვნის მიხედვით და, საფიქ-
რებელია, ბ-ს ამოსავალი გვ- სახეობის შემცველიც — გვართა, რაც
მიწის მსხვილ ნაჭერს, მონახეთქს ნიშნავს (შლრ. გამოთქმა „... გუარ-
თა-გუართა მუკმოხორცქუ...“ — ბ ე ლ ტ-ბ ე ლ ტ ა დ „მო-ეხეთქება“,
„მოსკდება“).

მეგრულ გუართა-სა და მეგრულშივე დადასტურებულ, ოღონდ
ქართულიდან შესულ, ბერთ- სახეობაში რ მომდინარე ჩანს ლ-საგან
გუართა < *გუალთა (შლრ. ქართ. ჩელტი — მეგრ. ჩერთი¹⁰, ქართ.
ხალთა — მეგრ. ხართა...).

ამრიგად, მეგრულში ქართ. ბელტ-ის ამოსავალი ჩანს *გუალტ-ი.

მეგრულში ბოლოკიდური თანხმოვანი გაფშვინვიერებულა ტ > თ.

აქ განხილული სიტყვა შესულა აფხაზურში¹¹. იქ გვაქვს ანგუმი-
გიალ — „მიწის-ბელტი“. ლ თანხმოვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,
შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზურში იგი ქართულის ამოსავალი
სახეობიდან არის შესული (ქართ. ე — აფხ. ა), ოღონდ აფხაზურის-
თვის დამახასიათებელი ფუძის გაცვეთის გამო მას ჩამოშორებული
აქვს -ტ ბოლოკიდური თანხმოვანი: *გუალტ->*გუალტ > გუალ.

ზუბლიდი

ზ უ გ დ ი დ ი ს, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული პუნქტის,
სახელწოდების წარმომავლობა დიდი ხანია იქცევის ისტორიკოსთა ყუ-
რადღებას. მრავალი მოსაზრებაა გაკვრით გამოთქმული ამ სახელწო-

⁹ იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамматика менгрельского (иверского) языка. С.-П.,
1914, с. 203.

¹⁰ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი,
გვ. 137.

¹¹ აფხაზურში იგი თითქოს არა ჩანს.

დების ასახსნელად სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა მიერ, ხოლო ბოლო ხანებში მის გენეზისის ისტორიკოსთა საგანგებო ნარკვევებიც მიეძღვნა.

განხილვის საგანი თავიდანვე ყოფილა ისტორიულ წყაროებში დაცული მისი ზუბდიდ სახეობა.

ჯერ კიდევ დ ი უ ბ უ ა დ ე მ ო ნ პ ე რ ე ს მოცემული აქვს ამ სახელის ახსნის ცდა თავის „მოგზაურობა“-ში. იგი მის პირველ ნაწილს უკავშირებს ლ ი ხ ნ ი ს თ ვ ი ს სამეგრელოში გავრცელებულ „ზუფუ“-ს და „ზუბდიდი“ (ანუ ზუგდიდი) განმარტებული აქვს როგორც „დიდი ზუბუ (ზუფ-ი)“¹².

მას ენება მ. ბ რ ო ს ე ც და მიუხედავად იმისა, რომ იგი იცნობს დიუბუა დე მონპერეს მიერ მოყვანილ ზ უ ბ დ ი დ სახეობასაც, განსხვავებულ ეტიმოლოგიას გვაწვდის. მისი აზრით, ეს სახელწოდება მომდინარეობს ქართ. ზ უ რ გ სიტყვიდან და მალალი, დიდი ბორცვის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ასეთ ამალღებულ ადგილად ივარაუდება სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია¹³.

მ. ბროსეს მოსაზრებას აღნიშნული სახელის ახსნის თაობაზე გარკვეული ტრადიცია უნდა ჰქონოდა სწორედ ქართველ ინტელიგენციაში, რაც თვით მ. ბროსეს მიერ ამ შემთხვევაში გრიგოლ და კონსტანტინე დადიანების დამოწმებიდან ჩანს.

პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს აზრითაც: „სახელწოდება ზუგდიდი წმინდა ქართულია. ის შედგება სიტყვებისაგან „ზურგი“ და „დიდი“, რაც ნიშნავს დიდ მალლობს, ანდა აბსოლუტურად მალალ ზურგს. ასეთივეა ფაქტიურად ადგილმდებარეობა „ზუგდიდი“. ზუგდიდის ადგილმდებარეობა

¹² «Les Mingréliens lui donnent (ივლისხმება ლ ი ხ ნ ი. აეტრის გადმოცემით აფხაზურად Louk'hin. რუსულად Lekhné—ქ. ლ.) le nom particulier de Zouphou (I), qui est sans dout en relation avec celui de Zoubdidi et Zougdidid (le grand Zoubouzou), residence des Dadians de Mingrelie».

Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimée.

Par Frédéric Dubois de Montpéroux. T. I, Paris. 1937, p. 248.

უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს სამეგრელოში „ზუფუ“-ს, უკეთ „ზიჟუ“-ს, ეძახიან არა საკუთრივ ლ ი ხ ნ ს, არამედ შორეულ მხარეს აფხაზეთისაკენ, მდინარე ბ ზ ი ფ ი ს ვალმა (და იგი ბ ზ ე ფ-ის ერთ-ერთი მეგრული გამოთქმის ანარეკლი უნდა იყოს).

ამავე მდინარის სახელთან ჩანს დაკავშირებული ზემოთ მოყვანილი გეოგრაფიული პუნქტის (ლიხნის) სახელი და მას არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეს ზ უ ბ დ ი დ ო ს წარმომავლობასთან.

¹³ M. Brosset, Rapport sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. St.-P., 1849. I, Septième Rapport, p. 20.

რეობა არის ყველაზე მაღალი და აღმოსავლეთით მისი ერთი უძველესი კვარტალი ეკვრის მაცხოვრის კარს... როგორც კედელს, რომელიც სწრაფად მალღდება ქალაქის ერთი ნაწილიდან¹⁴.

რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს აზრითაც, ზუგდიდის ნაწილი, რომელზედაც ძველი ქვის ეკლესიაა, მართლაც მდებარეობს გორაკზე, მაგრამ მისი ეტიმოლოგია „ზურგ“ და „დიდ“ სიტყვებთან დაკავშირებით ნაძალადევად მიაჩნია¹⁵.

დ. ბ ა ქ რ ა ძ ე იზიარებს უკვე გამოთქმულ მოსაზრებას ზუგდიდის სახელწოდების ზურგ-დიდი-საგან წარმომავლობის შესახებ და თავის მხრივაც ცდილობს დაასაბუთოს ასეთი გაგების შესაძლებლობა ზუგდიდის გეოგრაფიული მდებარეობით¹⁶.

ე ქ . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი არ ეხება საგანგებოდ ზუგდიდის ეტიმოლოგიას, მაგრამ ძველად ზუგდიდის მომადლო ადგილზე, გორაკზე არსებობას ისიც მხარს უჭერს¹⁷.

¹⁴ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, პლ. იოსელიანის ფ. № 11.

¹⁵ «Некоторые этимологисты объясняя название Зугдиди, производят его от грузинских слов «Зург», «диди» (Большая или великая спина, великий хребет), но мне кажется, что эта этимология слишком натягута, хотя действительно часть селения и расположена господствующей над остальной частью горке, на которой находится древняя каменная сельская церковь». Р. Эристави, Путевые записки по Мингрелии, «Кавказская старина». 1873, № 3—6..

¹⁶ Зугдиди местечко в Мингрелии, с древних времен служившее резиденцией мингрельских владетелей. Оно расположено на обширной плоскости, которая в отличие от горного округа Мингрелии изстари носит вообще в устах грузин название Одиши. Зугдиди образовался от грузинского ზურგ-დიდი «Большой скат» или иначе — большой холм. И действительно, по близости нового Зугдиди, среди равнины возвышается большая гора, где был раскинут старый Зугдиди и вот причина образования слова Зург-диди или Зугдиди... В Зугдиди имеются две церкви: старая и новая. Первая стоит в старом Зугдиди, в укрепленной когда-то ограде, которой следы заметны здесь и там среди густой растительности. Дм. Бакрадзе «Кавказ в древних памятниках христианства». Записки Общества любителей Кавказской археологии, кн. I. Тифлис, 1875, с. 72.

¹⁷ „ძველი ზუგდიდი მომადლო ადგილზე, გორაკზედ იყო გაშენებული, ახლაც დაბლობზეა. ძველ ნაწილში ვერს ნახევარზე ახალი ზუგდიდიდან ეხლა დარჩენილია მარტო ლამაზი ძველი პატარა მაცხოვრის ეკლესია... ჩვენის აზრით, ეკლესიის სტილი, ჩუქურთმები, მომრგვალებული საკურთხეველი უფრო XIII—XIV საუკუნეებს მოგვაგონებს...“

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნა მეორე, ტფილისი, 1914, გვ. 193—194.

„ღიხა-გუძუბას“ გათხრა-შესწავლასთან დაკავშირებით არქეოლოგი ნინო ხოშტარია შემდეგს აღნიშნავს: „კოლხეთის დაბლობის თანამედროვე მოსახლეობა „ღიხა გუძუბას“ ან „ღიხა გუძბას“ („ამობურცულ მიწას“) უწოდებს ბო რ ც ვ ი ს ნ ა ი რ ა დ ა მ ა ლ ე ბ უ ლ ა დ გ ი ლ ე ბ ს... და მის სახელწოდებად ხშირად ხმარობს დ ი ხ ა ზ უ რ გ ა ს, ზ უ რ გ ა ნ ს, დ ი დ ი ხ ა ს ო და დაასკვნის „სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რომ თვით ზ უ გ დ ი დ ი ს სახელიც დაკავშირებული იყოს მსგავსი არქეოლოგიური ძეგლის არსებობასთან იქ, სადაც ძველ ზუგდიდს ვარაუდობენ, მანცხვარკარში: „ზურგ დიდი“ — „ზუგდიდი“¹⁸.

ამრიგად ისიც, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ცნობილ გაგებას უჭერს მხარს.

ლ. ც ხ ა კ ა ი ა ეხება რა საგანგებო სტატიაში ზუგდიდის სახელწოდების წარმოშობის საკითხს, წარმოგვიდგენს რამდენსამე თვალსაზრისს; იგი ზუგდიდის სახელს უკავშირებს:

ერთი მხრივ, „ზუგია“-ს, რაც საბას განმარტებით „საკუმეველს“ ნიშნავს¹⁹;

მეორე მხრივ, უკავშირებს მეგრ. „სუეს“, რაც „ზეგანს“ აღნიშნავს²⁰.

¹⁸ ნინო ხოშტარია, ღიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 207—208.

¹⁹ იგი წერს: „სახელწოდება „ზუგდიდის“ წარმოშობის ძიებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართულ სიტყვას „ზუგია“, რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საკუმეველს“ ნიშნავს და შეიძლება სახელწოდება „ზუგდიდის“ ძირსაც იგი წარმოადგენდეს. მით უფრო, ვიდრე ზუგდიდის ხსენება დაიწყებოდა, მანამდე დიდი ხნით ადრე [? — ქ. ლ.] (ე. თაყაიშვილის აზრით, მე-13—14 საუკუნეში) აუშენებიათ მაცხოვრის კარის ეკლესია, რომელიც დიდ სამლოცველო და „საკუმეველ“ წმინდა ადგილად იყო აღიარებული: გამოირიცხული არ არის, რომ მისთვის ეწოდებინათ „დიდი ზუგია“, დიდი „სასაკუმეველო“ ადგილი. რადგანაც მაცხოვრის კარის ეკლესია იმ დროს ერთადერთი ეკლესია არ უნდა ყოფილიყო და შესაძლებელია სხვა პატარა ეკლესიებისაგან (სადაც პატარა „სასაკუმეველო“ იქნებოდა) განსხვავებულად დიდი ზუგია, ზუგია დიდა შეერქვათ მაცხოვრის ეკლესიისათვის მერსახელად დიდი ზუგია, ზუგია დიდა შეერქვათ მაცხოვრის ეკლესიისათვის მიეღოს სახელწოდება „ზუგდიდი“ და „ზუგდიდი“ ისე დამკვიდრებულ იყოს, როგორც მაკალითად „პუონდიდი“-ო.

იხ. მისი, ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან. ვაზ. „მებრძოლი“, საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომისა და ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო, 1958 წ. 3 ოქტ., № 117 (5153), გვ. 4.

²⁰ „არ არის საფუძველს მოკლებული ვიფიქროთ, რომ, რაკი მაცხოვრის კარის ეკლესია მისი დამხმარე ნაგებობებით ზეგანზე ან მეგრულად „სუესზე“ გაუშენებიათ და ასეთი „სუესები“ სამეგრელოში ბევრია, სხვებისაგან განსხვავებულად ამ წმინდა

მესამე მხრივ, იგივე ავტორი ამ სახელწოდებას უკავშირებს მეგრ. „ზუგ“ სიტყვას, რაც ს ი მ ა გ რ ე ს ნიშნავდა²¹.

მეოთხე მხრივ, იგი უყურადღებოდ არ ტოვებს მის კავშირს არც სოფ. „ზუბ“-ის სახელწოდებასთან²².

საბოლოოდ ავტორი იხრება უფრო ამ უკანასკნელი ახსნისაკენ. იგი დაასკვნის: „ამგვარად, ვინემ სხვა უფრო სარწმუნო წყარო მოინახებოდეს, სიტყვა ზუგდიდის წარმოშობა ზ უ ბ ი დ ა ნ უ ნ და ვივარაუდოთ“-ო.

ზემით წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორის მოსაზრებათაგან ზოგი შესაძლოა გარკვეული თვალსაზრისით კემშარიტებასაც შეიცავდეს, მაგრამ დასკვნები უფრო სიტყვათა გარეგნული მსგავსების მიხედვით გამოყვანილი ჩანს და ხალხური ეტიმოლოგიის იერს ატარებს. ამ სახელწოდების ფონეტიკურ ვარიანტთა მეცნიერული ახსნის საკითხი არც ღვას ავტორთა წინაშე.

პირველი გამოკვლევა, რომელშიაც მეცნიერული ეტიმოლოგიზაციის ეს აუცილებელი პირობა არის წინ წამოწეული, არის შ. მესხიას გამოკვლევა „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიისათვის²³.

ადგილისათვის ეწოდებიან „დიდი სუკი“, „სუკი დიდი“ და აქედან კი ღროთა ვითარებაში „ს“ ბგერის „ზ“-თი შეცვლით მიგველო „ზუგიდი“, „ზუგდიდი“. მით უფრო ს უ გ დ ი დ ე ეტიმოლოგიურად დიდად არ განსხვავდება ზ უ გ დ ი დ ის ა გ ა ნ ო“, იქვე.

21 ავტორი წერს: „ამასთან არ უნდა დავივიწყოთ მეგრულში შემონახული სიტყვა „ზუგი“, რაც ნიჭიერი გლეხი ფოლკლორისტის ბეგი გამსახურდიას გადმოცემით ს ი მ ა გ რ ე ს ნიშნავდა, ხოლო რადგანაც ძველი ქალაქების არსებობა უშუალოდ ციხესიმაგრეებთან იყო დაკავშირებული, შესაძლებელია თავდასაცავად აშენებული სიმაგრე „ზუგიდან“ მომდინარეობდეს სახელწოდება „ზუგიდის“, „ზუგდიდის“ წარმოშობა (ზუგია — დიდი ზუგია — ზუგია დიდი, ზუგიდი — ზუგდიდი)“-ო. იქვე.

22 იგი წერს: „ცნობილია, რომ სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით დიანამ მისი მმართველობის დროს ოდიშ-ლეჩხუმი დაპყრო ზუგდიდის, ჯვრის, ზუბის, სუჭუნის, საქილაოს, მარტვილის, ლაილაშის და მურის (სულ 8) მაზრად.

ზუბი სამთავროს ერთ-ერთ მაზრასთან ერთად მრავალ სოფელს ერქვა სამეგრელოში. ხოლო მე-17 საუკუნიდან ისტორიულ წყაროებში ზუგდიდი იხსენიებოდა „ზუბდიდად“...

არ არის გამორიცხული, რომ „ზუბის“ სახელწოდება, რომელიც მაშინ საკმაოდ იყო გავრცელებული სამეგრელოში და დღესაც გვხვდება, თვით ზ უ გ დ ი დ ს ა ც ჰქონოდა და თანდათანობით ტერიტორიული გაფართოების შედეგად მისთვის ეწოდებოთ „დიდი ზუბი“ ან „ზუბდიდი“, ხოლო ღროთა ვითარებაში „ზუგდიდი“-ო. იქვე.

23 იხ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეორე სამეცნიერო სესია 1958 წლის 27, 28 და 29 ნოემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. ზუგდიდი, 1958, გვ. 9—10. შემდგომში იგი ცალკე სტატიად გამოქვეყნდა აკაკი შ ა ნ ი ძ ი ს დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „ორიონში“, 1967 წ. გვ. 244—250.

იგი ავტორთა უმეტესობის მოსაზრებას „ზუგდიდის“ „ზურგ-დი-დი“-საგან წარმომავლობის შესახებ²⁴ არ მიიჩნევს დამაჯერებლად. ამაში მას აეჭვებს XVII საუკუნის საისტორიო წყაროებში დადასტურებული მისი, „ზუბ-დიდი“ სახეობა, რომელიც ავტორის აზრით, „ზუგდიდის“ ადრინდელი ვარიანტია. ზ უ გ დ ი დ სახეობის მეორეულობას „ზუბდიდთან“ შედარებით ავტორი, ერთი მხრივ, ასაბუთებს ისტორიულ წყაროთა ქრონოლოგიით — „XVII ს. და მით უფრო XVIII საუკუნის წყაროებში „ზუბ-დიდის“ პარალელურად გვხვდება „ზუგდიდიც“ (ლამბერტი, კასტელის ალბომი²⁵, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.). ეს უკანასკნელი სახელწოდება (ზუგდიდი) XIX საუკუნეში უკვე საბოლოოდ ძლევს პირველს (ზუბდიდს)“-ო — და, მეორე მხრივ, კომპლექსთა თავისებურებით. ავტორის აზრით, ქართულ ენაში გდ კომპლექსი უფრო ასატანი, შესაწყნარებელი იყო, ვიდრე ბდ კომპლექსი.

ამდენადვე, მას ზუგდიდი მიაჩნია „ზუბ“ გეოგრაფიული სახელისა და ზედსართავ „დიდი“-საგან ნაწარმოებად ჭალა-დიდ, ჭყონ-დიდ და მსგავს გეოგრაფიულ სახელთა ანალოგიურად და ბუნებრივად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოში არსებულ სხვა „ზუბებთან“ შედარებით მთავრის რეზიდენციისათვის „დიდი ზუბი“ (ზუბ-დიდი) ეწოდებიანათ.

მოყვანილ მტკიცებაში უდაოა, რომ:

ა. ზუგდიდი და ზუბდიდი ერთი და იგივეა;

ბ. რომ ზუგდიდი||ზუბდიდ გეოგრაფიულ სახელში მეორე კომპო-

²⁴ მკვლევრებს მხედველობიდან გამორჩათ ვარლამ თოფურიას მოსაზრება, რომ ზ უ გ დ ი დ (<ზუგ-დიდი) არის ბ ო რ ც ვ ი დ ი დ ი. იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტი. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 1959, გვ. 299. გადაბეჭდილია ავტორის შრომათა III ტომში, თბილისი, 1979, გვ. 121.

²⁵ რაც შეეხება კასტელის ალბომს, მართლაც მიუთითებენ დადიანის სასახლის ჩანახატის მიხედვით „მთავრის სასახლე სოფელ ზუგდიდში“-ო (იხ. დონ კრისტოფორო დე კასტელი. „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“. ტექსტი გა-შიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 172), მაგრამ ჩანახატის წარწერებში ასეთი რამ არ უნდა იკითხებოდეს. სამაგიეროდ გარკვევით ვკითხულობთ: „ეს ნაგებობა ანუ სახლი სამეგრელოს მეფის სოფელშია, რომელსაც ავერ ლუდიტ ეწოდება“ (იხ. იქვე. შტრ. იტალიურად: „Hoc profans edificium, seu domus est situm in uilla mengrelli Regis que dicitur Ager Ludit...“ (იქვე, № 445). ძნელა იმის თქმა, რა მნიშვნელობისაა ამ რთულ სახელწოდებაში პირველი სიტყვა Ager („ვერისი“?, თუ სხვა რამ), მაგრამ ცხადია, მეორე სიტყვა საკმაოდ დამახინჯებულად გადმოგვცემს ზუგდიდის (თუ: ზუბდიდის) სახელწოდებას.

ნენტი მსაზღვრელია და ერთვის პირველს, რომელიც ცალკეც იყო და არის გამოყენებული გეოგრაფიულ სახელად.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ რთულ სახელწოდებაში ატრიბუტიული მსაზღვრელის პოსტპოზიციურად დასმა მის ერთგვარ სიძველესაც მიუთითებს.

გარკვევასა და ახსნას მოითხოვს აღნიშნულ სახეობათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის საკითხი, ფონეტიკური ცვლილების საფუძველი და ამასთან დაკავშირებით ეტიმოლოგია პირველი ნაწილისა.

რაც შეეხება აღნიშნულ სახეობათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას:

ისტორიულად მოყვანილ სახეობათაგან რომელიმე მათგანის უფრო ადრე დადასტურება უთუოდ მის სიძველეს არ მოასწავებს. უძველესი წყაროები მათი ხმარებისა ჩვენ ჯერ ალბათ მიგნებული არა გვაქვს. მაგრამ იმ პერიოდიდან, რომელზედაც ხელი მიგვიწვდება, ზუგდიდიცა და ზუბდიდიც თითქოს პარალელურად გვხვდება. ამავე დროს შეინიშნება გარკვეულ ეპოქაში ამა თუ იმ სახეობისათვის შეგნებულად უპირატესობის მინიჭება. კერძოდ, XVI და XVIII სს. წყაროებში უფრო გავრცელებულია ზუბდიდი, ხოლო შემდგომ — ზუგდიდი.

მეტად საყურადღებოა ამ მხრივ ი. გიულდენშტედტის „მოგზაურობაში“ მითითება ამ სახეობათა არჩევანთან დაკავშირებით. ოდიშის დასახლებული პუნქტების ჩამოთვლისას იგი აღნიშნავს: „... Subdidi, nicht Zugdydi“-ო²⁶.

ზუბდიდად ზემოთ განხილული პუნქტი მოიხსენება ასევე სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში:

XVII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობაში, რაც სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ელჩმა გაბრიელმა (1636—1639 წწ. მოსკოვს გაგზავნილმა) წარუდგინა რუსეთის ხელმწიფეს, კვითხულობთ:

«И посол Гаврило говорил:... А городов-де у государя ево серед земли пят городов каменных, а по украинам и многие го-

²⁶ იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 325.

მთარგმნელს ეს ქართულად გადმოცემული აქვს ასეთი ტრანსლიტერაციით: „ზუბდიდი, არა ცუგდიდი“. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებითია არა თავიიდური თანხმოების სახეობები, არამედ მომდევნო მარცვალში შემავალი ზღვრული კომპლექსებიანი ვარიანტების თანაარსებობა და ზღვრული კომპლექსიანი სახეობის უპირატესად მიჩნევა გიულდენშტედტისა თუ მის მრჩეველთა მიერ.

როდს დასაყვანილი; ა დასაყვანილი-დე უ ნიხ გოროდ, გდე ცარე ლეონ ჯივეტ, სლოვეტ ზუბდიდი»²⁷.

«И поп Гаврило сказал: ...А государь-де наш где живет, то место словет Зубдиди, а до моря день ходу отстоит...»²⁸.

ასევე სამეგრელოს მთავრის ლევან I დადიანის ელჩის გაბრიელის საპასუხოდ გამოგზავნილი (1639 წ.) მოსკოვის ელჩის ფედოტ ელჩინის (და პავლე ზახარევის) მიერ დასახელებულსა და აღწერილ პუნქტებს შორის გვხვდება „Зубдиди“ ან „Звукдит“-ი²⁹.

ზუბ დიდი გვხვდება იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის მიერ იმპერატორ ანა იოანეს ასულისათვის გაგზავნილ 1737 წლის იმერეთის რუკაზე³⁰, რომლის შემდგენლადაც ვარაუდობენ ტიმოთე გაბაშვილს³¹.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სოლომონ I-ის მიერ XVIII ს-ის ოთხმოციან წლებში გაცემულ საბუთებში ასევე ზუბ დიდი სახეობაა გამოყენებული განხილული პუნქტისთვის³².

27 იხ. Материалы по истории грузинско-русских взаимоотношений 1615—1640 гг. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тбилиси, 1937, с. 148—149.

28 იქვე, გვ. 156—157.

29 იხ. М. А. Полиевктов, Европейские путешественники XVII—XVIII вв. по Кавказу, тб., 1935, გვ. 37. ამ ცნობის მიხედვით ორივე სახეობა ერთდროულად უკვე ამ დროს არის დადასტურებული.

ამ „მიმოწერაში“ აღნიშნული გეოგრაფიული სახელის ზემოთ დასახელებულ ვარიანტთა გარდა, მის აშკარად დამახინჯებულ გადმოცემასაც წავაწყდებით. აქ, მაგალითად, ვკითხულობთ: „Майя в 16 де пошли ис Цынажицкого монастыря от Андрея епископа. Того же числа пришли в Звукдит, где живет царь Леонтей... Майя в 18 де царь Леонтей отпустил нас из Вукди (ხაზგასმა ჩვენსი—ქ. ლ.). Майя в 22 пришли в Худони“ (С. Белокуров. Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Даднанскую землю (1639—1640).—Чтения в Общ. Ист.—и Древн. Росс. 1887, кн. II, გვ. 374). აქ დამახინჯებული ჩანს გადმოცემული იგივე სახელწოდება. „Вукди“ უნდა იყოს ცოტა ზემოთ დასახელებული „Звукдит“, ოღონდ 3 მიუკეცლებლით წინდებულისათვის (იხ) და მისგან გამოყოფილად დაუწერიათ „Вукди“. ბოლოკიდური ტ (დ), როგორც ჩანს, ყოველთვის მკაფიოდ არ ესმოდათ უცხო ენის წარმოადგენლებს.

30 იხ. შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც თეოდალური საქართველოს ისტორიის პირველი წყარო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 193.

რუკა დატულია მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო საისტორიო არქივში (ფ. ВУА). მისი ფოტოპირი არის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და აგრეთვე თსუ-ის საქართველოს ისტორიის კაბინეტში.

31 ელ. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. წიგნში: ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ., 1956.

32 შოთა მექსია, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

ზ უ ბ დ ი დ ი (მიცემითის ფორმით: ზ უ ბ დ ი თ ს) მოხსენებული აქვს თავის „რუხის ბრძოლა“-ში ბესიკს:

ჯილავ-დამართვით მიმართეს, ცხენი არვისი ბმუროდა და ზუბ-დიოს გამოსცდის საქმენი, ვინ ცუდად შეიჭუროდა³³.

მაგრამ იმავე პერიოდის, და რამდენადმე უფრო აღრინდელ წყაროშიც, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში „ზუგდიდი“ სახეობა არის მისი მოცემული:

„... ამავე მდინარის ჩრდილოეთ კერძოდ [იგულისხმება „ქანის წყალი“ — ქ. ლ.] დიდ ველსა ზედა არს ზ უ გ დ ი დ ი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი“³⁴.

კიდევ უფრო ძველ წყაროში, არქანჯელო ლამბერტის აღწერილობაში, ასევე ზ უ გ დ ი დ ი ა: „მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზ უ გ დ ი დ ი ს (ხაზი ჩვენია — ქ. ლ.) სასახლე“³⁵.

ზ უ გ დ ი დ ი ს სახით არის მოხსენებული იგი არქ. ლამბერტის რუქაზედაც.

დავით ბაგრატიონის ისტორიულ წყაროში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში კი ისევ „ზუბდიდი“ [„ზუბდითი“] იჩენს თავს: „Егрос, дабы положить твердые начала своего владения, подражал своим братьям, и построил город Егрис, называемый ныне Зубдит“³⁶.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის „შემოქმედის ქრონიკაში“-აც. (რომელიც გაბრიელ მახარაძეს მიეწერება) ვკითხულობთ: „ჩუღზ მობრძანდა ზღვით ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოს ყულუბას ზ უ ბ დ ი დ ს—დადიანთან გაიარა და ქუთა[ის]ს წარბძანდა“³⁷.

33 იხ. ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი. აღ. ბარამიძისა და ე. თოფურიას რედაქციით, მესამე გამოცემა, თბ., 1932, გვ. 31.

34 ქართლის ცხოვრება, ტომი IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 778, 15—17 და სხვ.

35 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. მეორე გამოცემა, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1938, გვ. 32.

36 Давид Багратиони, История Грузии. Текст издал и снабдил вступительной статьей и указателями А. А. Погава, Тб., 1971, с. 31, 9. ტექსტში გამომკემელს აღუდგენია ზუგდიდი-ი ავტორისეული ზუბდით-ის ნაცვლად.

37 თედო უორდანიძე, ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს გივი უორდანიძემ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 645. დათარიღებისათვის იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 075—076 (ხაზგასმა ჩვენია — ქ. ლ.).

კიდევ უფრო გვიანდელი (უკვე ჩვენი დროისა) საყურადღებო ცნობა მოგვაწოდა ამ გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებით ცნობილმა ისტორიკოსმა იასე ცინცაძემ. მისი თქმით: გურიაში (ბუჯისციხე — იანეული) მოხუცებმა (ფრიდონ და რაფიელ შარაშიძეებმა) ზუგდიდი ზ უ ბ დ ი დ-ად მოიხსენიეს. ჩემს ცდაზე შემესწორებინა, მითხრეს: „მას ყოველთვის ზ უ ბ დ ი დ ი ერქვა, ჩვენი წინაპრები ასე ეძახდნენო“. ეს ცნობა შემდეგ მღვდელ სოფრომ კეკელიძესთან შევამოწმე და იმანაც იგივე დამიდასტურა „სამეგრელოს მთავარ ქალაქს ზ უ ბ დ ი დ ი ერქვაო“.

ამრიგად, უეჭველია, რომ ორივე აქ განხილული ვარიანტი აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტისა ჩვენთვის ხელმისაწვდომი ისტორიული წყაროების მიხედვით თანაარსებობენ და ქრონოლოგიურად „ზუგდიდს“ „ზუბდიდიდან“ მომდინარე გვიანდელ სახეობად ვერ ჩავთვლით. ისინი ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ.

არსებობს მისივე მესამე ვარიანტიც რ თანხმოვნისანი, რომელიც დაუცავს აფხაზურს — ეიზრგ~თ) — და აფხაზური ფონეტიკური სისტემის ნიადაგზე გაუმართავს³⁸. ამ აფხაზური სახეობის ამოხავალია მეგრულში უთუოდ გარკვეულ ვარიანტად არსებული *ზ უ რ გ ი თ ი („ზ უ რ გ დ ი დ ი“-საგან მომდინარე)³⁹.

რაც შეეხება ფონეტიკურ მხარეს, რომლის მიხედვითაც ზ უ ბ დ ი დ მ ა მოგვცა ზ უ გ დ ი დ ი იმის გამო, რომ გლ კომპლექსი უფრო ასატანი და შესასწვნარებელი იყო ვიდრე ბლ კომპლექსიო, არ მართლდება ქართველურ ენათა კომპლექსების ბუნებას თუ გავითვალისწინებთ. პირიქით, როგორც ეს გ. ახვლედიანმა გაარკვია, ქართველურ ენებში (და საერთოდაც) ე. წ. დეცესიური კომპლექსები (რომელთა ჯგუფში შედის სწორედ ბლ) ბუნებრივია, მაშინ როცა არა-ბუნებრივი და ძნელად ასატანია ე. წ. აქცესიური კომპლექსები (რომელთა ჯგუფში ექცევა გლ). გ. ახვლედიანმავე დაადგინა ამ ძნელად

³⁸ ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესება, თბ., 1976, გვ. 224.

³⁹ მის სხვაგვარ წარმოშავლობას ვარაუდობს ნ. მარი. მეგრულში ღლეს გავრცელებული ფორმა ამ სახელისა „ზუგდიდ“ მას გამოჰყავს *Sug-d-a-i-დან და განაგრძობს: ...какое название у абхазов сохранилось в виде j'argid' (ju-gid, с мегрельским же фонетическим наростом г перед заднеязычным г), а грузины полуосмыслили в Zug-did-i «Зугдид», точно «Великий Зуг», восприняв суффиксы -d-i- за часть (грузинского) слова did-i «большой». Н. Марр. Термин «скиф.» об. Яфетический сборник. I, II-6., 1922, გვ. 115, შენ. 2 (იგივე. მის რჩეულ შრომებში. ტ. II, 1935, გვ. 31, შენ. 2)

ასატანი აქცესიური კომპლექსების სუპერაციის მთელი რიგი გზები. ერთ-ერთი საშუალება ხსენებულ კომპლექსთა „დაძლევისა“ არის მისი გამარტივება: ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვა. სწორედ გდ კომპლექსის ძნელად ასატანობა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ „ზუგდილი“ სახეობიდან მეგრულ მეტყველებაში წარმოიქმნა „ზუგდილი“ სახეობა და პარალელურად *ზურგდილიდან *ზურგიდი“-ც, რაც დაედო საფუძვლად აფხაზურში გავრცელებულ „ჟიზრგ-ჯთ“-ს.

რომ გდ „ზუგდილი“ „ზუბდილი“ ბდ-დან არ მოდის, ე. ი. გ-ს წყარო ხსენებული ფონეტიკური პროცესი არაა და ამდენად ბ-სთან შედარებით იგი მეორეული არაა, იმითაც მტკიცდება, რომ ამ სახელის პირველი, გ-თანხმონიანი, კომპონენტი მაშინაც გვაქვს. როცა დ-თი დაწყებული მსაზღვრელი არ მოსდევს მას.

აქ თავი რომ დავანებოთ „დიხა ზურგა“-სა, „ზურგან“-სა და მსგავს ფუძეებთან მის კავშირს, ცალკეც გვხვდება მაგალითად ჟიზრგ- გეოგრაფიულ სახელად (კერძოდ მთის სახელად) მოსაზღვრე აფხაზეთის ტერიტორიაზე — გულრიფშის რაიონში⁴⁰. ჟიზრგ — აფხაზური გამოთქმაა ქართული (მეგრული) ზურგ-ისა.

განხილული მასალის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტის რთული სახელწოდების პირველი კომპონენტი სამი ფონეტიკური ვარიანტით დასტურდება. ესენია: ზურგ-, ზუგ-, ზუბ-. უდავოა აქ ერთი და იგივე ლექსიკური მონაცემი გვაქვს და ეს არის, როგორც მთელ რიგ ავტორებს უკვე ჰქონდათ მითითებული, „ზურგ“ სიტყვა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ბორცვის, ამაღლებული და მთიანი ადგილების გადმოსაცემად გეოგრაფიულ სახელებში (სხვადასხვა ფონეტიკური სახეობით).

მაგალითად:

„ზრუგიშა“ ჰქვია ქედს გუმათსა და ჯიმასტაროს შუა“⁴¹.

ზრუგიეთი (სათესი) მაღლაკონში (აჭარისწყლის სასოფლო საბჭოში)⁴².

⁴⁰ იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმის ლაბორატორიის ფონდი. მასალა შეკრებილია ვ. ზუხბას მიერ.

⁴¹ მიხეილ ალავეძე, ქართული დიალექტური ლექსიკიდან. გურულ-იმერული და რაჭულ-ლეჩხუმური მასალები. აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIV, ქუთაისი, 1962, გვ. 280.

ეგების ამ ფუძესთანვე იყოს დაკავშირებული გიულდენშტედტის ჩიერ დასახელებული ციხე ლეჩხუმში ზოგიში — იხ. მისი ზემოთ მითითებულ „მოგზაურობა“, ტ. I, გვ. 326—327.

⁴² იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 49.

ზ რ უ გ ე ნ ა (სათესი) ს. სკურდიდში (აჭარის აღმართის სასოფლო საბჭო)⁴³.

ზ რ უ გ ა ლ ა (ამობურცული ადგილი) ს. აჭყვისთაეში⁴⁴.

ზ უ რ გ ა ადგ. მიწაზვინული⁴⁵.

ზ უ გ ა (ზ უ რ გ ა) მაღალი ადგილი [ხალხური განმარტებით] „ნაფხეკარია. ძველი ნაეკლესიარი. თათრობის დროს ჭარისკაცთა ფეხსაცმლის დანაფხეკიდანაა შექმნილი“⁴⁶.

ზ უ გ (მიწაზურგა)⁴⁷ და იქვე რამდენიმე დ ი ხ ა ზ უ რ გ ა⁴⁸.

ს ა უ ზ უ რ გ ი მთა. აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე (ჭუშანასთის აღმოსავლეთით)⁴⁹ [„საოზურგი“? — ქ. ლ.].

თვით ო ზ უ რ გ ე თ ი ს (||დიალ. ოზრუგეთის) უცხოური წარმომავლობისად მიჩნევა⁵⁰ საეჭვო ჩანს ამ ფუძის ქართულ ტოპონიმებთან ურთიერთობის გათვალისწინების საფუძველზედაც.

ამ მხრივ საინტერესოა აჭარაში დადასტურებული იგივე ტოპონიმი: ო ზ რ უ გ ე თ ი ს. სალორეთში (პირველი მაისის სასოფლო საბჭოში). ანლავს განმარტება: „ორზურგიანი მთა საძოვ.“⁵¹.

ო ზ უ რ გ ე თ ი ღ ე ლ ე (ხმელი ღელე) ს. ახოში (ცხმორისის სასოფლო საბჭოში)⁵² და სხვ.

ზ უ რ გ ა ნ ი: „აღსანიშნავია, რომ „პატარა კონდა“ საგვიჩიოს ნამოსახლარ ბორცვებს შორის უძველესი სამოსახლო ჩანს, საიდანაც შემდგომ მოხდა მახლობელი მიდამოების (რიონ-ფიჩორის ორმდინარეთი) ფართო განსახლება. ამ ჯგუფში შემავალი ძვ. წ. I ათას-

43 ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

44 ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი 11, ბათუმი, 1959, გვ. 64.

45 გ ი ვ ი ე ლ ი ა ვ ა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977, გვ. 55.

46 იქვე, გვ. 19. ასევე გვ. 33, 50, 52, 53, 70, 77, 80, 88.

47 იქვე, გვ. 28.

48 იქვე, გვ. 32, 38, 42, 44, 57, 70.

49 ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, კანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, 1, ბათუმი, 1977, გვ. 65.

50 იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სამი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, თბ., გვ. 279—281.

51 ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი 1, ბათუმი, 1958, გვ. 54.

52 იქვე, გვ. 68.

წლეულის I ნახევრით დათარიღებული ძეგლებიდან აღსანიშნავია ბორცვი „ზურგანი“⁵³.

სემანტიკისთვის საყურადღებოა, რომ იგივე ფორმა ამ ფუძისა — ზ უ რ გ ა ნ ი — „ხევსურულში აღნიშნავს ხის (საშენ) მასალას ერთ მხარეზე ა მ ო ზ ნ ე ქ ი ლ ს“⁵⁴ (ხაზგასმა ჩვენია — ქ. ლ.).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმის ლაბორატორიის ფონდში დასტურდება:

ზორგეთი — სერი (სოფ. ლელვანი) ორჯონიკიძის რ.

ზურგული — სერი (სოფ. შომახეთი) საჩხერის რ.

სხმარტა ზურგი, სხმარტლის ზურგი — ფერდობი (კარბოულის სოფლის საბჭო საჩხერის რაიონში).

კვინცხალის ზურგი — ტყე (სოფ. ქვაციხე, ჭიათურის რ.).

ნასელი ზურგი — ბორცვი (სოფ. მღვიმევი, ჭიათურის რ.) და სხვ.

ზემოთ განხილულ ზურგ-, ზუგ-, ზუბ- სახეობათა (და ამავე ფუძის ზოგი სხვა ვარიანტის, — იხ. ქვემოთ) შედარების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, როგორც ამას ნ. მარიც ვარაუდობდა (იხ. ზემოთ), რომ რ- მასში განვითარებულია, მაგრამ არა მეგრულში და არა იმ ამოსავლის დაშვებით, რასაც ნ. მარი მიუთითებდა. რ-იანი ფორმა ამ სიტყვისა ძველი ქართულიდანვეა ცნობილი (მაგ., „მოუქდა იგი ზ უ რ გ ი თ კერძო“ მ. 9,20...), იგი თუა განვითარებული, უკვე ძველ ქართულშია (და საერთოდაც ქართველურ ენებშია) განვითარებული.

უფრო რთული ჩანს ზ უ ბ- სახეობის ზურ[რ]გ-თან მიმართების საკითხი. მათ შორის უბრალო ბ ~ გ (ან გ ~ ბ) მონაცვლეობას ვერ დავინახავთ. ბ მასში („ზუბ“-ში) ხშილ + ლაბიალური კომპლექსის [გვ] შერწყმით უნდა იყოს მიღებული, როგორც ამას მთელ რიგ სხვა შემთხვევებშიაც ვადასტურებთ. ამდენადვე მისი ამოსავალი უნდა ყოფილიყო *ზუგვ- სახეობა.

და საყურადღებოა, რომ სწორედ ეს სახეობა დღემდე დაუცავს სვანურს „ბ ო რ ც ვ ი ს“, „ბ ე ქ ო ბ ი ს“ აღსანიშნავად.

⁵³ გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. ფხაკაძე, ვ. ჯაფარიძე, ნ. კიდეურაძე, ჯ. ჯღამაია, „დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წლის მუშაობის მოკლე შედეგები“, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 12 (ხაზგასმა ჩვენია — ქ. ლ.).

⁵⁴ აღ. კინკრაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 278.

ასე, მაგალითად, ივ. ნიუარაძეს რუსული ХОЛМ (ХОЛМИК)-ისთვის მოპყავს სვანურში ზუგვ (შდრ. იქვე ХОЛМИК ზუგვარ)⁵⁵. მასვე იგივე ზუგვ სიტყვა გამოყენებული აქვს ერთ-ერთ შესატყვისად რუსული гора-სა⁵⁶ და гурор-ისთვის⁵⁷.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით შეკრებილი სვანური ლექსიკონის მასალაში „ბორცვის“, „ბეჭობის“ მნიშვნელობით დადასტურებულია იგივე ზუგვ, ბქ. ზვიგვ (კნინობითი: ზუგულდ, ზვიგვილდ): როსტომდ ქ'ა ნშემ აშვ ზუგვქინ [ბზ.] „როსტომმა ერთ ბორცვზე შეისვენა“. ალემავ მარწმი ნაღწს ბეჩს ძღღ კღლთხი ზუგვ აფხასწნა [ლაშხ.] „ამდენი კაცის ნაღებ ქვას ძალზე მაღალი ბორცვი წარმოუქმნია“.

ამ სახეობის ეს ფუძე გვხვდება სვანური პოეზიის გამოქვეყნებულ ნიმუშებში:

ღედღ ღვარან, ზუგვ-თე ადერ
ზუგვ-ლადქი ლხშღირაწნა⁵⁸
ღდილამ, წადი ბორცვისკენ
ბორცვაკზე ითამაშე!

აარვ ზუგვარ ეიბენ ონღური⁵⁹...
ორ ბორცვს ზემოთ მოვღივარ...

თქმულის საფუძველზე უდავო უნდა იყოს, რომ ხსენებული ფუძე არსებობს ბოლოკიდური ვ თანხმოვნისანი სახეობითაც გარკვეულ ენობრივ არეალში ამჟამადაც. ჩვენ მიერ ამოსავლად ნაგარაუღევი ვარიანტი ზუგუ-სა და დიხაზურგუ-ს სახით მითითებულებიც არის ტოპონიმებად სენაკის რაიონში⁶⁰. ამ სახეობის გვ კომპლექსი უნდა დასდებოდა საფუძვლად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთიანი მხარის ზუბ ტოპონიმის ბ ბოლოკიდურ თანხმოვანს (გვ>ბ).

საყურადღებოა, რომ სოფლის სახელწოდება ზუბ-ი გვხვდება ძირითადად სამეგრელოსა და ლეჩხუმის ტერიტორიაზე⁶¹.

55 И. Н. Нижарадзе, Русско-сванский словарь, Тб., 1910, с. 498.

56 იქვე, გვ. 44.

57 იქვე, გვ. 19.

58 სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჭეჩიანმა. თბილისი, 1939, გვ. 170, № 47 (13—14) (ტექსტში აქაც და ქვემოთაც ხაზგასმა ჩვენია! — ქ. ლ.).

59 იქვე, გვ. 176, 12.

60 აღ. ლონტი, ტოპონომიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 52, 59.

61 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1949.

ზურგის აღმნიშვნელ ფუძეს, რომ ბოლოკიდურ თანხმოვანად სვანური „ზუგვ“-ის მსგავსად ვ მოუდიოდა, რომელიც წინამავალი თანხმოვნის ლაბიალიზაციის წყაროდ ქცეულა, უნდა დასტურდებოდეს „ზურგის“ აფხაზურ-აბაზური სახელწოდებითაც — ა-ჰჰია⁶².

ამავე დროს ცნობილია ქართული ენის დიალექტებშიაც (კერძოდ, რაჭულში) იმავე ფუძისეული თანხმოვნის ფშვინვიერი ვარიანტი: ზუქალია „ზურგზე მოკიდება“ (ბავშვისა)⁶³.

საერთოდ აღნიშნული სიტყვის ფუძე (თავის ძირითადსა და, განსაკუთრებით, გადატანითს მნიშვნელობაში) დიდ ფონეტიკურ ცვლილებებს ექვემდებარება ქართველურ ენებში. ცვლილება შეინიშნება არა მარტო -რ- სონანტის დართვა-დაურთველობის მხრივ (ე. ი. ზუგ||ზურგ...), არამედ ძირეულ თანხმოვანთა „ლაბიალიზაციის“ (ე. ი. ზუგ||ზუგვ||ზუბ.) და გვარობის (ე. ი. მელერობა-ფშვინვიერობა-მკვეთრობის) მიხედვითაც.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა სუჯ სიტყვასთან დაკავშირებით: „... ხეს აქვს სუკი-ც. თუ საბას განმარტებით [სუკი] „ზურგის ჯორცია“ (ლექსიკ.), ქვემო იმერეთში ის ხის ნაწილის სახელადაც იხმარება... და იქაური განმარტებით სუკი ხის სიგრძეზე შესამჩნევი კუთხის მაგვარი მოყვანილობაა..., რომელიც, როგორც ეტყობა ხელოვნურად, გათლით გაკეთებული უნდა იგულისხმებოდეს, რადგან სუკიანი ხე, იქაურივე ცნობით, ისეთი ხეა, რომელიც სახლის ნაგებობაში ფიცრულად არის გათლილი, გარეთ კი სამკუთხედიან... სუკი რომ ხეს ხელოვნურად უკეთდებოდა, ამას ცხადპყოფს გამონათქვამი გასუკული ხე... მეგრულად სუკი პატარა მალლობს და ბორცვს ნიშნავს (მ. გ. 320). საფიქრებელია, რომ ქართული სუკის ზემომოყვანილი და ჩვეულებრივი მნიშვნელობაც თავდაპირველად ზურგის (სუკის ჯორცისაგან) ასეთი სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. სვანურადაც ზურგს ეწოდება შიყ (რ. ს. ლ.: СПИНА), რომელიც ამავე სიტყვის შიშინა-თანხმოვანა სახესწავობა უნდა იყოს“⁶⁴.

⁶² თუ აქ გამორიცხულია ლაბიალური ელემენტის გადასმა. იქვე გვხვდება სინონიმებიც: აბლა, აყაყია.

⁶³ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955.

⁶⁴ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალურ კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 162.

საფიქრებელია აქ ივ. ჯავახიშვილი ზურგ და სუკ სიტყვათა ფუძეების იგივეობასაც გულისხმობდეს. ერთი კი ცხადია, რომ ამ სიტყვებს როგორც ძირითადი, ისე გადატანით მნიშვნელობა ივ. ჯავახიშვილის აზრით სავსებით ერთიანი აქვთ.

და ეს მათი სემანტიკური ერთიანობა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

სუკ-ი ზუგ-ის ყრუ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს (მათი ზოგი სახეობის შესახებ, რომლებიც უშუალოდ იყო დაკავშირებული განხილულ საკითხთან, ზემოთ გვქონდა მსჯელობა). გამორიცხული არ არის ისინი სხვა ფონეტიკური ცვლილებითაც გვხვდებოდნენ — მაგალითად, აფრიკატიზებული, გადასმული, მაგრამ ეს ამჟამად ჩვენი თემის საგანი არ არის.

ამრიგად, ტოპონიმების ზუბ-ის, ზუბ-დიდ-ის ბ მარტივი თანხმოვნის წყარო ლაბიალური გვ კომპლექსი გამოდის, რომელიც დღემდეა შემორჩენილი პარალელურ სახეობებში როგორც ცალკეული სახეულის ფუძის, ისე ტოპონიმის სახით (შდრ. სვ. ზ უ გ ვ...).

ციბან⁶⁵

შინაური ცხოველის სახელწოდება კატა ძველ ქართულში თითქოს ჯერ კიდევ არა ჩანს. ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“ („ვით კატასა ვხოციდი ლომსა“ 328). საბათობელიანი შენიშნავს, რომ კატა „ფრანგულიაო“ და (ქართულად) ციცა ჰქვიანო⁶⁶.

ქართველურ ენებში მისი განხილვისას არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ეს ფუძე გვხვდება მთელ რიგ ენებშიო, მოჰყავს ამის საილუსტრაციოდ სომხ. კატუ (ჭანურთან საერთო ფორმით), რუს. кот, ფრ. chat, გერმ. die Katze, ინგლ. cat, ხუნძ. ქეთო და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კატ ფუძე შეთვისებულია სხვა ენათაგან და ჩვენი ენებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ციც ფუძეო. ამავე კონტექსტში მოიხსენიებს სწორედ საბას ზემოთ მოყვანილ აზრსაც⁶⁷.

ამავე სიტყვის ოსური სახეობის გვლგ (göedy) განხილვასთან დაკავშირებით ვ. აბაევი აღნიშნავს, რომ მას ფართო გავრცელება აქვს. მისი არეალი მოიცავს ევროპულ, სემიტურ, კავკასიურ, უნგრულ-ფი-

65 წაკითხული იყო მოხსენებად — „ერთი იბერიულ-კავკასიური ფუძე“ — თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VI სამეცნიერო სესიაზე 1965 წ., იხ. მეშაობის გეგმა და თეზისები.

66 სულხან-საბათობელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყოფშიძისა და აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

67 არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938, გვ. 83.

წერ, თურქულ ენებსო (და მოჰყავს ყველა აღნიშნული ოჯახის ენათა მასალა).

ამავე დროს ვ. აბაევი დაასკვნის, რომ მისი წარმოშობა ჯერჯერობით არ შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულადო, თვით ოსური სახეობა კი მას თურქულთან ახლო მდგომად მიაჩნია (თურქ. kedi)⁶⁸. ჩვენ ვიტყვოდით ოსური სახელწოდება ერთიანდება ყაბარდოული და ზოგი დალესტინის ენის სახეობასთან (შდრ. ყაბ. გ~წდ ჯჷ > ჯწდ ჯჷ, ანდ. გ ედ ჷ, კაპუჷ. გ ე დ ო, ჰმ. გ ი დ უ...).

რუსულსა და საერთოდ სლავურ ენებში ამ ფუძის წარმომავლობის გაურკვევლობაზე მიუთითებენ სათანადო ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში⁶⁹.

ფრანგული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში chat დაკავშირებულია ლათ. cattu-სთან და მიჩნეულია აფრიკული წარმომავლობისად⁷⁰.

საერთოდ კი ითვლება, რომ კ ა ტ ა პირველად მოუშინაურებიით ეგვიპტეში.

მიუხედავად იმისა, რომ კ ა ტ ა ფუძე მცირეოდენი ცვლილებებით მეორდება მეტწილ იბერიულ-კავკასიურ ენაში (მაგ.: ქართ. კატა, ზან. კატუ, უბიხ. გ~ატჯ, ადიღ. ქ~წთჷ||ჩწთჯჷ, ყაბ. გ~წდჷ||ჯწდჯჷ. ხუნ.-ანდ. ქეთო, გედუ, ბოთლ. გედუ, ლოდ. გედუ, ახვ. ქეთუ, კვანად. ქითუ, ჰამ. გიდუ, ხვარშ. ქით, კაპუჷ. გედო, დიდ. კეტო, ლეზგ. კაც (გაწ), დარგ. გატა, თაბას. გატუ, ბაც. კატ...), ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში აღნიშნული ცხოველისათვის თავს იჩენს განსხვავებული ფუძეებიც, მაგ. სვან. — ც ი ც უ, წახურ. — ბ ი ს ო, ჩაჩურ-ინგუშური — ც ი ც ი გ, აფხ.-აბაზ. — ა ც გ ი გ... ამ რიგის ფუძეები გვხვდება ზოგ იმ ენაშიაც, რომელშიაც ზემოთ მოყვანილი კ ა ტ ა სიტყვა ითვლება გაბატონებულად.

რამდენადაც ქართველურ ენებში სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებსა და საერთოდ კავკასიის ენებშიაც კ ა ტ ა ფუძე ნასესხებია, მის სახეობათა და ისტორიის განხილვას აქ არ შევუდგებით. ჩვენ აქ გამოვყოფთ ერთ განსხვავებულ ფუძეს, რომელიც კატის სახელად უნდა გვქონოდა ქართულში, აფხაზურში...

⁶⁸ В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, М.—Л., 1958, с. 510.

⁶⁹ А. Г. Преображенский, Этимологический словарь русского языка, том первый, А.—О М., 1959; М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, том II, М., 1967.

⁷⁰ Albert Dauzat, Etymologique de la langue française. Librairie Larousse. Paris, VI, p. 165, 767.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს კატის მოხმობის შორისდებული ქართულში „ცი ფ-ცი ფ“.

ცნობილია, რომ ცხოველთა მოხმობა-გარეკვის, მოწოდება-შედახილის შორისდებულებში შესაძლოა შემორჩენილი იყოს თვით ცხოველის სახელწოდება. ამის დამადასტურებელი არა ერთი მაგალითი გვხვდება. შდრ. თუნდაც თ ხ ი ს მოხმობის შემთხვევა ხევსურეთში: თ ხ ა-თ ხ ა!⁷¹

ფუძეგაორკეცებული ცი ფ-ცი ფ მომდინარეა ცი ბ-ცი ბ სახეობისაგან ბ-ს დაყრუებით და გვაქვს კიდეც ეს ამოსავალი ცი ბ ა სახეობაც დაცული, ოღონდ ჩვეულებრივ ძალთან დაკავშირებით⁷².

ს ა ბ ა ს ჩვენებით ცი ბ ა (ჩი ბ ა) არის „ასაკმცირე ძალლი“⁷³. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვითაც: ცი ბ ა, ცი ბ ა კი — „ასაკმცირე ძალლი, გოშია“⁷⁴.

ქართული ენის რვატომიან განმარტებით ლექსიკონში ცი ბ ა ორი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი: 1. „ძვ. ტანმორჩილი ძალლი, — ფინია, გოშია“ და მოყვანილია აქვე საბას ფრაზა „მას კაცს ერთი ცი ბ ა ჰყვანდა“. 2. „კუთხ. (ჭიხ.) კ ნ ი ნ. ძალლი“, რაც სათანადო ანდაზით არის ილუსტრირებული „ცი ბ ა გარეთ არ გავიდა, კურდღელი შინ არ შევიდაო“. აქვე მითითებულია ცი ბ ა როგორც შორისდებული „ძალლის დაძახება (ქალთა მეტყველებაში)“-ო. თან რედაქცია. ვფიქრობთ, მართებულად უდარებს მას „ცი ფ-ცი ფ“-ს⁷⁵.

მაშასადამე ცი ბ ა ფუძე ქართულში მიემართება როგორც კ ა-ტ ა ს, ისე ფ ი ნ ი ა, ასაკმცირე, პატარა ძ ა ლ ლ ს. კ ა ტ ი ს ამ მოხმობის სახელის ძ ა ლ ლ ი ს, კერძოდ, ფ ი ნ ი ა ძ ა ლ ლ ი ს მიმართ გამოყენება თვით ამ ფუძის ს ა ა ლ ე რ ს ო შინაარსით (პ ა ტ ა რ ი ს მ ო ს ა ფ ე რ ე ბ ე ლ ი შინაარსით) უნდა განისაზღვრებოდეს.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ გვეჩვენება, რომ იმერულ დიალექტში დადასტურებულ „ცი ფ-ცი ფ, ცი ფ-ცი ფ ო“-ს განმარტებისას ივ. ქავთარაძე წერს „კატის დაძახება ა ლ ე რ ს ი თ“-ო⁷⁶ (ხაზგასმა ჩვენია! — ქ. ლ.).

71 ალ. ჰინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 236.

72 მეგრულ მეტყველებაში კატის მოხმობისას „ციფ-ციფ“-თან ერთად ციბა-ციბა-ცი იმისი.

73 სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1928.

74 ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

75 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, რედაქტორები: ივ. გვიგინიშვილი, ბ. ფოჩხუა, თბ., 1964.

76 ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, კრბ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963, გვ. 156.

ძალთან დაკავშირებით კატის ეს (მოხმობისას ხმარებული) სახელი ციბა (||ჩიბა — ს ა ბ ა) ქართულიდან უნდა იყოს შესული დიდოურში. დ. იმნაიშვილის მიერ მოწოდებული ცნობით ჩიბა დიდოურში ჰქვია ძუ ძალს⁷⁷.

ასაკმცირე, ფინია ძალის ქართულ სახელწოდებასთან კავშირში თავის მხრივ ყურადღებას მიიპყრობს ცუგა, რომლის შესახებაც იმავე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „ცუგა პატარა ტანის ძალლი (ხშირად იხმარება ასეთი ძალლის საკუთარ სახელადაც), — ფინია“. ამ განმარტებას ახლავს ი. გოგებაშვილის ილუსტრაცია „ყვიროდა ცუგა, რომელიც ბატონს ვერ შეემჩნია და რომელსაც წინა ფეხი კარებში მოჰყოლოდა“⁷⁸.

ამრიგად, ციბა-ს მსგავსად ცუგა ქართულში გამოიყენება პ ა ტ ა რ ა, ფ ი ნ ი ა ძალლისთვის. ამ გაგებით ისინი სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს. თითქოს სადავო არ უნდა იყოს არც თვით ფუძეთა იგივეობა, თუმცა თანხმოვნებში ამ ფუძეთა სხვაობას ქმნის გ||ბ მიმართება. ასეთი მიმართების არსებობა ამ ფუძეთა შორის მარტივ გ||ბ მონაცვლეობამდე არ უნდა დაიყვანებოდეს. ამის საბაბს იძლევა აღნიშნულ ფუძეთა მთლიანი შეპირისპირება. ირკვევა, რომ ლაბიალური ცუ კომპლექსი მაშინ არის, როდესაც ფუძის მეორე თანხმოვანი მარტივი უკანაენისმიერი არალაბიალური გ ხშულია და, პირიქით, როცა მეორე თანხმოვანი ფუძისა ლაბიალური ბ ხშულია, პირველი თანხმოვანი არალაბიალური მარტივი ც აფრიკატით არის წარმოდგენილი. ეს ფაქტები ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანს.

სავარაუდებელია, რომ თავდაპირველად ეს ფუძე შეიცავდა ამოსავალ ლაბიალურ გუ (გუ) კომპლექსს (ე. ი. იყო *ც ი გ ზ ა), რომლის ორგვარმა განსხვავებულმა ცვლილებამ საფუძველი შეუქმნა ორი განსხვავებული ვარიანტის წარმოქმნას.

ერთი მხრივ, დაიშალა ლაბიალური კომპლექსი ფუძის მეორე ნაწილისა და მისი ლაბიალური ელემენტი მიეკედლა ფუძის წინმავალ თანხმოვანს, რამაც გამოიწვია ბოლო კომპონენტის „დელაბიალიზაცია“ და წინა კომპონენტის „ლაბიალიზაცია“. ამ ნიადაგზე წარმოიქმნა ცუგა.

ანალოგიური ფონეტიკური ცვლილების ფაქტები არცთუ იშვია-

⁷⁷ ქართულიდან კავკასიის მთიანეთის ენებში ამ ცხოველის სახელწოდებათა შესაძლო ვარიანტების თვალსაზრისით ბუნებრივია მოვიგონოთ ნახურ ენებში (კერძოდ ჩაჩნურში) გაბატონებული უშალ- („ძალი“), აფხაზურ-აბაზურში -- ა-მანუ-არქ||ლა-მწაუჯრ („მაწევარი“).

⁷⁸ ქველ, ტ. VIII.

თია ქართველურ ენებში, შდრ. მაგ. ძვ. ქართ. კიცჴ > ახ. ქართ. კვიცი, მეგრ. ლული < *ლაღვი „ლეღვი“ და მისთ.⁷⁹

ცუგა-ს გვერდით არსებობს იმავე მნიშვნელობით „ცუგო“-ც. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგალითად, ვკითხულობთ: „ცუგო იგივეა, რაც ცუგა“-ო და მოყვანილია შ. მღვიმელის სათანადო ფრაზა „შემდეგ მიუალერსეს ისევე ცუგოს და ციცას“. შეიძლება გვეფიქრა, რომ ცუგო სახეობამ შემოგვინახა მეორე თანხმოვნის ლაბიალობაც ო-ს სახით (...გო) და ასიმილაციით გალაბიალურებული ცუ- ელემენტიცო, მაგრამ ამ შემთხვევაში ფუძედ იგივე ცუგა უნდა ივარაუდებოდეს, ხოლო -ო (ცუგო-სი) მიმართვის ფორმის მორფემა უნდა იყოს მასზე დართული.

მეორე მხრივ, ხშული ლაბიალური გუ (გჳ) კომპლექსის ბილაბიალურ ხშულში შერწყმის ნიადაგზე იმავე ამოსავალი ციგჳა (ციგვა)-საგან წარმომდგარი უნდა იყოს ციბა. ცუგა|ციბა მიმართებას იმეორებს ცუგრი და ციბრი⁸⁰. საალერსო-კნინობითის შინაარსის მქონე ეს ფუძე არა თუ მარტო კატისა და ძაღლის მიმართ იხმარება, არამედ საერთოდაც გამოიყენება პატარის გაგებით. ამის დასტურს იძლევა იმერული დიალექტის მასალა: „...თუ შევეკონამ კაის, თვარა არ მინდა ცუგრიელა კონები“⁸¹. ასევე იმავე ციბაკ (||*ჩიბაკ)-იდან წარმომდგარ ჩიბაკონა-ს მიუღია „ტანად დაბალი კაცის“ მნიშვნელობა (ქეგლ. VIII).

სათანადო ფუძე გავრცელებულია ძაღლის სახელებად. მაგ. თუშურ დიალექტში ამ ფუძის ძაღლის სახელებად გვხვდება ჩიბია, ჩიბანაჲ, ცაბეჲ, ციბროჲ...⁸²

რომ ციბა მართლაც *ციგვა (ციგუა)-საგან უნდა ამ გზით მომდინარეობდეს და ამოსავალში ლაბიალური გვ (გუ) კომპლექსია სავარაუდებელი, ამას თავის მხრივ უდავოდ ხდის აფხაზურ-აბაზურ ენათა ქართულთან საერთო ფუძე ა-ციგვ' (ბზ. დიალ. ა-ც'გვ'), რომელიც კატას აღნიშნავს და რომელსაც ამ შემთხვევაში ამოსავალი ლაბიალიზებული გი (გჳ) კარგად დაუცავს. აფხაზურ აციგვ'-ში ც-(ბზ.ც'-)-ს მომდევნოდ მოსალოდნელი იყო ხმოვანიც (ე, ა), მაგრამ იგი რედუცირებულია მომდევნო მახვილიანი მარცვლის გავლენით.

79 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 122; გ. როგავა, ნაფიქსარი დ-ს ფონეტიკური სახეცვლილებანი და ზეცა ფუძის აგებულების საკითხი. აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის საჯელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953, გვ. 53.

80 ციბია აღნიშნული გაგებით დ. ჩხუბიანიშვილის ცნობით იხმარება თიანურში.

81 ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 465.

82 იხ. პ. ხუბუტი, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 207.

ამრიგად, ქართულსა და აფხაზურში კატის სახელად საერთო ცვატა ფუძე ჩანს (ბზიფურ დიალექტში დადასტურებული სისინა-შიშინა სახეობა აფრიკატისა სხვა შემთხვევებშიაც ქართულთან საერთო ფუძეში სისინა აფრიკატს უტოლდება).

აფხაზურში ეს ფუძე მარტო კატისთვის გამოიყენება (შღრ. აგრეთვე აცგო-ა: აცგოაზალ~ „ხვადი კატა“, აცგოაფს „ძუ კატა“) და ერთადერთი სიტყვაცაა მისთვის. ამ სიტყვის მიხედვით აფხაზური და აბაზური გამოეყოფა სხვა აფხაზურ-ადიღურ ენებს და მიჰყვება ქართულს.

ბუნებრივია დაისვას კითხვა, იშლება თუ არა აფხაზურში ხსენებული ფუძე და ხდება თუ არა შემადგენელი კომპონენტების გააზრიანება. ვფიქრობთ, რომ არა. მართალია აფხაზურში არსებობს სიტყვა ა-ცხ~ (ბზიფ. ა-ც'ხ~), რაც აღნიშნავს „კატის სენს“⁸³ (კატის წყევლა: აც'ხ~ ჭაგააჯღ! — „კატის ჭირმა წაგიღოს“), რომელშიც -ხ~ გამოიყოფა „სატკივრის“, „ავადმყოფობის“, „ჭირის“, „სენის“ მნიშვნელობით და თითქოს ამის საფუძველზე კატის გაგებით მხოლოდ პირველი ც (ც') ელემენტი გამოდის, მაგრამ სარწმუნო უნდა იყოს ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ახალი ხ~ ძირის. დართვისას ა-ც გ ო გ ფუძეში წარმოიქმნა რთული კომპლექსი ცგიხ~ (ა-ცგიხ~) და გამარტივებისას ამოვარდა გი (ნ. მარი). რთულ კომპლექსთა ასეთი გამარტივება ჩვეულებრივი მოვლენაა აფხაზურში. ამავე თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ აფხაზურ ნიდაგზე გი(ა)-ს შესაბამისი მნიშვნელობის განსაზღვრა არ ხერხდება და არც ც (ც') მის გარეშე სხვა შემთხვევაში თითქოს ამ მნიშვნელობით არ დასტურდება. მართალია აფხაზურშივე არსებობს თხის წყევლა — ა-ც'აზახ~, რომელშიაც თითქოს ც'(ა) კვლავ დამოუკიდებელ მორფემად მოგვევლინა, მაგრამ იგი ისევ ზემოთ განხილულ კატის (ა-ცგო) ფუძეს უკავშირდება. ერთი ცხოველიდან საწყევარის („ჭირის შეყარის“) მეორე ცხოველზე გადატანა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს ქართული ენის კილოები. იგივე ციცანა, რაც ქიზიყურში კატისა და ძაღლის ცხვირის ცემინების სენს ეწოდება და უდავოა კატის სახელწოდებიდან მომდინარეობს, ლეჩხუმურ დიალექტში „ღორის ერთგვარი სენია“⁸⁴.

ხოლო რაც შეეხება, ერთი მხრივ, ა-ც'ხ~ და, მეორე მხრივ, ა-ც'აზახ~ ფუძეთა სხვაობას, შესაძლოა, იმავე ფონეტიკური კანონ-

⁸³ შღრ. ჭიზიყ. ციცანა „კატისა და ძაღლის ცხვირის ცემინების სენი“. სტეფანე მენთეშაშვილი, ჭიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

⁸⁴ ჭეგლ, ტ. VIII.

ნის — რთული ლაბიალიზებულ ბგერათა მარტივი ლაბიალური ბგერებით შერწყმა-შენაცვლების (რაც აფხაზურ-ადიღურ ენებში სწორედ ჩვეულებრივი მოვლენაცაა)⁸⁵ საფუძველზე ა-ც'აბახ ~ ვარიანტმა შემოგვინახა სრული, შეუწყუმშავი ფუძე მომდინარე სავარაუდო *ა-ც'აგო-ახ ~ სახეობიდან.

ა-ც'აბახ ~ სიტყვის აქ წარმოდგენილისაგან განსხვავებული ახსნაც შეიძლებოდა მოგვეცა, თუმცა არც ის არსებით სხვაობას საერთო დასკვნაში არ შეიტანდა.

კერძოდ, იმავე ბ-ს ახსნისათვის შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ ამ სიტყვის წარმოებისას ენამ გამოიყენა არა კ ა ტ ი ს ზოგადი სახელი აფხაზურში ა-ც'გოჟ (*ა-ცაგია), არამედ ხ ვ ა დ ი კ ა ტ ი ს სახელწოდება ა-ც'გიაბა (იხ. ზემოთ, გვ. 28) და ფუძის გართულებისას, მასზე ახალი მნიშვნელობის ძირის -ხ-ს დართვის შემდეგ ც'გო — კომპლექსის ფონეტიკურად გამარტივებით (ე. ი. გო-ს ჩავარდნით) შემოგვრჩა ა-ც'აბახ ~ (<*ა-ც'გიაბახ ~). მაგრამ ასეთი ახსნისას ჩნდება გარკვეული სემანტიკური ხასიათის დაბრკოლება, რატომ უნდა აერჩია ენას ამ მნიშვნელობისთვის მაინცდამაინც ხ ვ ა დ ი კ ა ტ ი ს ფუძე და არა ზოგადად კატისა?

ქართ. ც ი ბ ა ფუძესთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ კატის კნუტის სახელწოდება ც ი ნ დ ა ლ ი || ც ი ნ ტ ა ლ ი (სვ. ც ი ნ დ ა ლ ი), რომელიც ქართველურ ენებში ძირითადად ერთიანი სახით მეორდება (მკვეთრის შემცველი სახეობა მეორეულად მიიჩნევა)⁸⁶.

ც ი ნ დ ა ლ სიტყვაში გამოვლენილი ალ სუფიქსი გამორიცხული არ არის გვექონოდა ზემოხსენებულ ც ი ბ ა ფუძეშიაც (შდრ. ქვემოთ). ამავე დროს ც ი ბ ა || ც ი ფ ა ფუძეში განვითარებული ჩანს ნაზალური სონორი მ || ნ ხ უ ლ ი ბ -ს (||ფშვინვიერი ფ-ს) წინ. ამ ნიადაგზე უნდა წარმოქმნილიყო *ც ი მ ბ ა || ც ი მ ფ ა სახეობა და მართლაც ქართლურსა და კახურში -მ- შეზრდილი ც ი მ ფ ა || ც ი მ ფ ი ა კატის მიმსგავსებით აღნიშნავს „წუწკს, მსუნაგს“⁸⁷.

ასევე სარწმუნო ჩანს ნ განვითარებულად მივიჩნიოთ ცინდალ-ში⁸⁸. ამოსავალ სახეობაში უნდა გვექონოდა *ც ი მ ბ ა ლ ი⁸⁹. ამ სავა-

85 ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბ., 1976, გვ. 226—227.

86 არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი.

87 ქეგლ, ტ. VIII.

88 არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, იქვე.

89 ლ. გელენიძის ცნობით „კ ა ტ ი ს კ ნ უ ტ ს, ც ი ნ დ ა ლ ს ბ ე ბ ი ა (იმერელი) სწორედ ციმბალს ეძახდაო“.

რაუდო ამოსავალმა ციმბალ-მა (<*ციგჷალ) ალბათ ამბავი > ან-
ბავის მსგავსად, მოგვცა *ცინბალი. დკი „ცინდალისა“
მომდინარე უნდა იყოს ბ-საგან ნბ კომპლექსში. თანაც თავკიდურ ენა-
კბილისმიერ ც-სთან ნაწილობრივი ასიმილაციით⁹⁰.

ანალოგიური პროცესები შეინიშნება ქართველურ ენებში. რო-
გორც ვარაუდობენ, Сибирь-ის სახელწოდებას ქართულში ბ-ს წინ მ
დართვია⁹¹. ციმბირ ფუძემ მეგრულ მეტყველებაში ცინდირ-ის
სახე მიიღო. მსგავსი ცვლილების ნიადაგზე „ციბა“-ს *ციმბალ||
ცინბალ სახეობისაგანაც შეუძლებელი არაა მოეცა ცინდალი.

კატის სახელწოდება, განსაკუთრებით აქ მოყვანილი ფუძე და
მისი სახესხვაობები, როგორც ცნობილია, ფართოდ გამოიყენება გო-
გონას საალერსო სახელად, გვარის სახელთა საწარმოებლად და სხვ.
კერძოდ, ციბა-სგან მომდინარეობს გვარი ციბაძე. საყურადღებოა,
რომ აფხაზურშიაც ა-ცგოჷ (ბზ. ა-ც'გოე) კატის სახელისაგან წარმოს-
დგება გვარი ცეგო-ბა (ბზ. ც'ეგო-ბა)⁹². შესაძლოა ასეთივე ეტიმო-
ლოგიისა იყოს მეგრ. გვარი ცინდალაა (<ცინდალავეა) და
სვანური გვარი ცინდელიანიცი. ცუგრია *ციგური ა||*ციბ-
რია, *ჩიბრია უდევს, ალბათ, საფუძვლად ქართულ გვარებს —
ციგრიაშვილს⁹³, ციგროშვილს⁹⁴, რომლის ვარიანტიც შე-
იძლება იყოს გვარი ჩიბირაშვილი⁹⁵.

სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმი ო-ცინდალ-ე
დაკავშირებული ჩანს განხილულ (ცინდალ<ციმბალ<*ციგვალ) ფუ-
ძესთან, ოღონდ იგი უნდა გამოხატავდეს არა ცხოველის (ე. ი. კატის)

⁹⁰ ცინდალის სხვაგვარი ახსნა მოცემული აქვს ფ. ერთელიშვილს, იხ. მისი
სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში,
თბ., 1980, გვ. 129, 222—223.

⁹¹ Gerhard Deeters. Die kaukasischen Sprachen. Handbuch der Orientalistik.
Siebenter Band. Leiden | Köln. 1963, s. 25.

ტოპონიმ ციმბირის სარწმუნო ეტიმოლოგია, როგორც ცნობილია, არ არ-
სებობს (იხ. В. А. Кононов, Кракий топонимический словарь, М., 1966,
с. 379—381), მაგრამ რუსულშივე გეოგრაფიული პუნქტის Сибирск-ის და ამის შე-
საბამისი გვარებს არსებობის პირობებში უნდა დავუშვათ, რომ სხვა ენობრივ სინამ-
დვილშიაც უცხო არ უნდა ყოფილიყო მსგავსი სახეობა ამ ფუძისა.

⁹² Х. С. Бгажба, Бзынский диалект абхазского языка, Тбилиси, 1964,
с. 245.

⁹³ გაზ. „თბილისი“, 1981, 27 მაისი, გვ. 1.

⁹⁴ „ლიტერატურული გაზეთი“, 1981, № 35.

⁹⁵ გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1981, 29 ივლისის № 175 (9223), გვ. 3.

სამყოფელ ადგილს⁹⁶, არამედ გარკვეული მცენარის (რომლის სახელწოდებაც, საფიქრებელია, კატის ცინდალ-სახეობას ეყრდნობოდა) გავრცელების არეალს.

ამის ნათელსაყოფად საჭიროა გავეცნოთ ქართულში მდგნალის სახელით ცნობილ მცენარეს. მის შესახებ ქეგლ-ში ვკითხულობთ. „*Salix caprea*. დაბალი ტანის ხე ან ბუჩქი (ტირიფების გვარისა); აქვს ქვემოდან თეთრი ბეწვით შემოსილი კვერცხისებრი ან ელიფსური ფოთლები და პატარა ზომის ბუსუსოვან მჭადებად შეკრებილი ყვავილები; ყვავის ფოთლების განვითარებამდე; გავრცელებულია ტყის პირებსა და გამეჩხრებულ ტყეებში“⁹⁷.

როგორც ცნობილია, ქეგლ-ში მემცენარეობის ტერმინთა განმარტება ეკუთვნის ცნობილ ბოტანიკოსს ალ. მაყაშვილს. მდგნალის ეს დახასიათებაც მისია. ალ. მაყაშვილისავე ფუნდამენტურ ნაშრომში — „ბოტანიკურ ლექსიკონში“ — მოყვანილია მდგნალის ლექსიკური ვარიანტები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეტყველების მიხედვით: „კხ. ბ ა ტ ი ჯ უ კ ა, მთ., ფშ. ხევის. დ გ ნ ა რ ი, დ გ ნ ა ლ ი, ფშ. ფ ო ხ ვ ი, ოკრ. ჭ ი ჭ უ ნ ჭ ი, ლჩხ. ბ ა გ უ ნ დ ი, ჩ ი ჭ ვ ი ნ ი; აჭ. ც ი ც ე ლ ა, ც ი ც ა; ინგ. კ ა ტ ა წ ნ ო რ ა; სბ. კ ა ტ ა ტ ი რ ი ფ ა, ბ ე დ მ უ შ ე კ ი, მგრ. კ ა ტ უ ჯ ვ ა რ ი, კ ა ტ უ ჯ ვ ა რ ი შ ი ჯ ა; სენ. ბ ა გ ვ რ ა, ბ ა ი ა“⁹⁸.

აქ წარმოდგენილ ვარიანტებში ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის სახეობები, რომლებიც მდგნალის დახასიათება-გადმოსაცემად კატას იყენებენ: სბ. კ ა ტ ა -ტირიფა, ინგ. კ ა ტ ა -წნორა, მგრ. კ ა ტ უ -ჯვარი და განსაკუთრებით აჭ. ც ი ც ე ლ ა, ც ი ც ა. ასევე საინტერესოა, რომ ფშაურში კატის მოფერებითი სახელი ც ი ც უ ნ ი ა მდგნალის ყვავილს ეწოდება: „მდგნალს კატის კნუტებივით ფაფუკი ც ი ც უ ნ ა ეკიდა“ (თ. რაზიკ.)⁹⁹.

ცხადია, მეგრულში კ ა ტ უ ჯ ვ ა რ მ ა გამოდევნა ამ მცენარის უფრო ძველი სახელწოდება ცინდალ-ი და იგი შემოგვიანანა ტოპონიმმა — ოცინდალემ (ოცინდალე — ე. ი. მ დ გ ნ ა ლ ი ა ნ ი).

მცენარეთა სახელწოდებებში კატის სახელთან დაკავშირებულ ფუძეები საკმაოდ ხშირად გვხვდება. შღრ. იმერ. ც ი ც ი ნ ო, ც ი ც უ -

⁹⁶ შღრ. ალ. ლ ო ნ ტ ი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 52. ამოსავლად (მართალია კითხვითი ნიშნით) ავტორი ვარაუდობს ან სინჯა-ს (სიძეს) ან ცინდალ-ს (კნუტს).

⁹⁷ ქეგლ, ტ. V.

⁹⁸ ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

⁹⁹ ქეგლ, ტ. VIII.

ნი ა (კესანე), ც ი ც ა ს კ უ და (ფარსმანდუკი), ც ი ც ა ბ ა რ და (კატა-
ბარდა), სვანური კნინ. ც ი ც უ ლ დ (ბურტყლა სამყურა) და სხვ.¹⁰⁰.

არნ. ჩიქობავას ზემოთ მოყვანილ დებულებასთან დაკავშირებით
კატის სახელად ძველად ქართველურ ენებში ც ი ც ა ს ი ტყვის არსე-
ბობის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში მითითებული იქნა საერ-
თო ფუძეები ჩაჩნ. ც ი ც ი გ-ისა და ხუნძ. ი ც ი ქო-ს სახით¹⁰¹. ამას შეიძ-
ლება დაერთოს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებული აღნიშ-
ნულთან საერთო ფუძეები: კარატაული ი ც ო ¹⁰², დარგულის ზ ი-
ც ი ვ-ზ ი ც ი ვ (კატის მოხმობა) და სხვ.

თვით ქართულსა და ქართველურ ენებში ეს სიტყვა მეტად მრავალ-
ფეროვნად წარმოგვიდგება. ზემოთ განხილული წმინდა ფონეტი-
კური ცვლილებების გარდა ფუძეებში შენიშნული სხვაობები სხვადა-
სხვა ფაქტორებითაც უნდა აიხსნებოდეს.

პირველ ყოვლისა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცხო-
ველებს მოხმობა-გარეკვის მომენტებთან დაკავშირებით შეიძლება
განსხვავებული ფუძეები შეეწყობოდეს; ერთია კატის გაწყრომისას
გამოყენებული: ა ც ხ ა (დასავლ. ც ა ც ხ ა). ც ი ც, ც ი ც ა და სხვ. და
მეორეა მოხმობა-მოაღერსებისას გამოყენებული ც ი ც უ ნ ი ა, ც ი-
ბ ა, ც ი ბ რ ი ა! და მისთანები. აქ არც ის არის გამორიცხული, რომ
მიფერება-მოაღერსებისას (ენის ერთგვარად „მოჩლექის“ სახით) სა-
აღერსო ფუძის ბგერის გვარობის მიხედვით განსხვავებულ ვარიანტს
მიმართონ. კერძოდ, ასე გვეჩვენება ჩვენ ქართულში ციბა-ს „ჩიბა“
სახეობის წარმოქმნა (და ამდენადვე იგი არა გვეგონია სისინი||შიშინა
შესატყვისობის ფაქტს განეკუთვნებოდეს).

ახლა, რაც შეეხება ქართულში აღდგენილ *ც ი გ უ ა (—>ციბა)
ფუძეს (რომელიც აფხაზურ-აბაზურშიც დასტურდება — ა-ც'გ'უ) და
რომელიც მოფერება-აღერსის შინაარსის შემცველი უნდა ყოფილიყო,
იგი უნდა იშლებოდეს ც ი-გ'უ ა ორი ნაწილისაგან. ც ი ც ი ც ა-ს მარ-
ტივი (გაუორკეცებელი) სახეობაა, ხოლო -გ'უ ა იმ ნიუანსის შემტანი
უნდა ყოფილიყო, რაც კატის ც ი ბ ა სახელს შეესაბამება.

ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი ხდება ზუნძური სახელწოდე-
ბა კატისა ი ც ი ქ ო. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ იგი შესაძლოა
კნინობითობის აქო მორფემას შეიცავდეს (ილ. ცერცვაძე).

მართლაც, ზუნძურში გამოყოფენ აქო და -იკო||კო ელემენტებს

100 ა. მაყაშვილი, იქვე.

101 თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ
ენებთან, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940.

102 ილ. ცერცვაძის ცნობით.

სიტყვათა კნინობითობის საწარმოებლად¹⁰³. მაგრამ ავტორები იქვე აღნიშნავენ, რომ ხუნძურში კნინობითის წარმოება აღწერილი ხასიათისაა და მითითებული ელემენტები მხოლოდ თითო-ორი ფუძეში დასტურდება.

თუ აღნიშნული კნინობითობის ელემენტები ხუნძურში საკუთარია და ნასესხები არაა, ბუნებრივი იქნებოდა სათანადო ქართული ფუძის მეორე კომპონენტი ასეთი წარმომავლობისად მიგვეჩნია. მაგრამ ამ შემთხვევაში გასარკვევი იქნებოდა არაერთი საკითხი. კერძოდ, ხუნძურისათვის მაშინ ამოსავლად თითქოს (ა)გო უნდა გვევარაუდნა. ფშინვიერი ც-ს შემცველ ხუნძ. ი ც ი ქ ო ფუძეში ასიმილაციური ცვლილებების გათვალისწინებით ეს სირთულეს არ შექმნიდა, მაგრამ აქ საკითხი შეეხებოდა სხვა პირობების მქონე ფუძეებსაც და საერთოდ ამოსავალში კნინობითობის — *გო-ს აღდგენის რეალურობას.

მეორე მხრივ, ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ქართულში არსებულ ფუძეთა ანალიზი გვაეალებს მეორე ელემენტად -გჷალ (ციმბალ< *ციგჷალ...) გამოყვით.

103 არხ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, აღ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, თბ., 1962, გვ. 173.

ბილაბიალური ფ მომდინარე „ჰვ“ ლაბიალური¹⁾ კომპლექსიდან

-ფულა

საერთო ფუძის სიტყვები ჩანს საბას მიერ დასახელებული ქულა ერთი მხრივ, და ფუმ-ფულა მეორე მხრივ, მართვეთა სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი.

ს ა ბ ა წერს: „ბაზთა მართვეთა ეწოდების ქულა“, ხოლო — „მწერთა და ბუზთასა — ფუმ-ფულა“ (ლექსიკონში ეს სიტყვა შეტანილია ფ უ მ ფ ლ ა-ს სახითაც).

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ცხოველთა ნაშიერისათვის ერთი და იმავე სახელწოდების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. ფულა-ს ამოსავალი წინასახეობა უნდა ყოფილიყო ქულა.

რაც შეეხება ფუმფულა-ს, რომელიც მწერთა და ბუზთა მრავალრიცხოვან მართვეს მარჯვედ გამოხატავს ფუძის გაორკეცებით, მისი ამოსავალი სახეობაც უნდა ყოფილიყო იგივე ქულა გაორკეცებულად: ფ უ მ-ფ უ ლ ა < * ფ უ ნ-ფ უ ლ ა < * ფ უ ლ-ფ უ ლ ა (< *ქულა-ქულა).

ფული

სტ. მენტეშაშვილს ქიზიყურში მითითებული აქვს სიტყვა გ უ ლ ი (||ლული) და მას ასე განმარტავს: „ნალბანდის იარაღი: ნალის დახვრეტის დროს ნალის ქვეშ ამოსადები მრგვალი, გულამოღებულ რკინა, რომ ზუმბის წვერი ზინდას არ მოჰხვდეს“-ო¹.

სტ. მენტეშაშვილსავე აღნიშნული აქვს, რომ ამ იარაღს, ე. ი. გ უ ლ ს, ზოგჯერ ჰქვია: ლ უ ლ ი, ქ უ ლ ი, ხ უ ლ ი ან ფული და ლექსიკონშიაც ცალ-ცალკე შეტანილი ყველა ეს სახეობა გაგზავნილი აქვს განსამარტავად გ უ ლ ზ ე.

აქ აღწერილი იარაღის ერთ-ერთი სახეობა — ფული მომდინარე ჩანს პარალელურად არსებული მისი ქული სახეობისაგან.

¹ სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943. იხ სიტყვა გ უ ლ ი.

ფურჩა

საერთო ფუძეს შეიცავს მეგრ., იმერ. ფ უ რ ჩ ა² (მასთან არის დაკავშირებული საერთოდ ქართული ფ უ რ ჩ - ფუძე ფ უ რ ჩ ქ ნ ი ს ზმნაში და მისთ.) და იმერ. ქ უ რ ჩ ა: „ტარო სიმინდის ნაყოფია. გარს აკრავს ფუჩეჩი ანუ ფ უ რ ჩ ა || ქ უ რ ჩ ა“³. აქ ისინი პარალელურად არის ნახმარი და უდაო სინონიმებია. ამასთანავე პირველი მომდინარე ჩანს მეორისაგან (ფ უ რ ჩ ა < ქ უ რ ჩ ა).

ამ დაკავშირებას ხელს ვერ შეუშლის ის გარემოება, რომ ფ უ რ ჩ ა საერთო შეიძლება იყოს ფ უ რ ც-ე ლ-თან. პირიქით, ეს უნდა გვირკვევდეს თვით ფურცელ- ფუძის მომდინარეობას *ქურცელ-იდან (შდრ. ნა-ქ უ რ ც ე ნ ი).

ლეჩხუმურში დასტურდება საყურადღებო ფორმა — გაქურქვნა⁴ გურული დიალექტის „გაქურჩვნა“-ის მნიშვნელობით, შდრ. თ. რაზი-კაშვილის ჩვენებით ქართლური შეფურჩვნა „ვაზისთვის უვარგის ტო-ტების და რქების შერთმევა“⁵.

ამ ფუძეს ფართო გამოყენება აქვს ქართული ენის დიალექტებში.

ფურჩუმელა

ანალოგიური ამოსავალი ივარაუდება შალამანდილის აქარულსა და ზანურ სახელწოდებებში: შდრ. ერთი მხრივ, — აჭ. ფ უ რ ჩ უ მ ე ლ ა, მეგრ. ფ უ რ ჩ ი მ ა ლ ე, ჭან. ფ ო რ ჩ უ მ ა ნ ა და ვურ. ქ უ რ ჩ უ მ ე ლ ა, მეგრ. ქ უ რ ჩ მ ა ნ ი ა⁶, — მეორე მხრივ.

თავფართეა

პ. ხ უ ბ უ ტ ი ა ს თუშურ ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა თავფართეა⁷, რომელსაც განმარტებად უწერს „დაღმართ“-ს. საყურადღებოა, რომ მასვე ლექსიკონში ამავე მნიშვნელობით მოეპო-ვება სიტყვები თავქვართი და თავქვია⁸, რომლებიც გაგზავნილია გან-სამარტავად „თავფართეა“-ზე. სრულიად ცხადია ამ ფუძეთა იგივეობა.

2 ი. ყ ი ფ მ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 339.

3 ზ. ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მასალები პურეულის ლექსიკისათვის ქვ. იმერულში, თსუ სტუდენტთა კრებული, 1952, გვ. 281.

4 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938.

5 ი. ქ ყ ო ნ ი ა, სიტყვის-კონა, პეტერბურგი, 1910, გვ. 61.

6 ალ. შ ა ყ ა შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

7 იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 102. თუშური დიალექტის სხვა სპეციალისტებმა ამ ფორმის არსებობა უარყვეს.

8 იქვე.

აქ აშკარაა ფ-ს ქვ-საგან მომდინარეობა. თვით ქვ- „ქვე“ ზმნი-სართისაგან ჩანს წარმომდგარი. მას წინ დართული აქვს „თ ა ვ ი“, შდრ. ქართული თავქვე⁹ (მეგრ. დ უ დ გ ი მ ე). აქედან არის, ერთი მხრივ, თუშურში მიღებული თავქვიაჲ (<*თავქვე-ია, შდრ. იქვე „თ ა ვ ი თ ა ჯ“ „თავიდან“), ხოლო მეორე მხრივ, მას უნდა დართოდა „აღ-მართ“ — „დაღმართ“-ის ანალოგიით მიმართულების გამომხატველი „-მართ“ და უნდა მიგველო „თავ-ქვე-მართ-ია“, რომელშიაც ფუძის გართულების ნიადაგზე ჯერ „-ქვე“-ს უნდა ჩამოშორებოდა ე ხმოვანი და მიგველო „თავ-ქვ-მართაჲ“, ხოლო შემდეგ ქვმ- რთულ კომპლექს-ში მ-ც ჩაეარდნო და შემოგვრჩენია თავქვართაჲ. აქედან კი წარ-მომდგარა თავფართაჲ.

ჩამფა

მ ა ლ მ თ ი ს ბ ო კ ვ ი ს მეგრულ შესაბამის სახელწოდებ-ბად აღ. მაყაშვილს მოჰყავს ჩ ა მ ფ ა. იქვე პარალელურ სახეობად ნაჩვენები აქვს ჩ ა მ ქ ვ ა¹⁰, რაც ამოსავალი ფუძე ჩანს ჩ ა მ ფ ა ს-თ ვ ი ს¹¹. „კართხას ძველად ღვინის სასმელად ხმარობდნენ. ვაკეთებ-დით ცაცხვისას, თხმელისას და ჩ ა მ ქ ვ ი ს ა ს“ (შინამრეწ. ს. წა-ლენჯინა)¹².

ჩამქვა-ს ამოსავლად ჩათვლას თითქოს ხელს უნდა უწყობდეს სათანადო ფუძის წარმომავლობა. კერძოდ, ჩნდება ვარაუდი, იგი ძელქვ-ის მეგრული შესატყვისიდან მომდინარეობდეს.

აღ. მაყაშვილი „მალალმთის ბ ო კ ვ ს“ (— რომლის მეგრულ შე-საბამისად მოჰყავს ჩ ა მ ფ ა —) ნეკერჩხლისებრთა ოჯახს მიაკუთვნებს¹³. ძელქვა-ც (განსაკუთრებით მისი მეორე, დიალექტური მნიშ-ვნელობით) განმარტებული აქვს ლეკის-ხე-დ, რომელიც აგრეთვე ნ ე კ ე რ ხ ს ლ ი ს ე ბ რ თ ა ოჯახში შედის¹⁴.

ასე რომ, ხის გვარობის მიხედვით, მათ (ჩ ა მ ფ ა-სა და ძ ე ლ-ქ ვ ა-ს) შორის ერთიანობაა.

⁹ და მისგან ნაწარმოები ზმნა „დაითავქვევებს“ — თავქვეზე დაეშე-ბა — ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: თ. ბეროზაშვი-ლი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981.

¹⁰ აღ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

¹¹ ავტორს იქვე მესამე სახეობაც — ჩ ა მ ქ ვ ა-ც — აქვს დასახელებული. ეს ვარიანტი ნაკლებადაა გავრცელებული.

¹² მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილხელოსნობის ისტო-რიისათვის აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. II, ნაწ. I, მეჭურჭ-ლეობა, თბ., 1979, გვ. 235.

¹³ ქველ. ტ. I.

¹⁴ ქველ. ტ. IV.

აქ ის გარემოებაც არის ანგარიშგასაწევი, რომ ძელქვის მეგრულ შესატყვისად აღ. მაყაშვილს მოყვანილი აქვს ძერქვა, რაც რა თქმა უნდა, ქართულიდანაა შესული (როგორც გახმოვნების მიხედვით, ისე ძირეული ძ თანხმოვნის მიხედვით).

ამდენადვე, ირკვევა, რომ ქართ. ძელქვის ნამდვილი მეგრული შესატყვისი არ ჩანს. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, დაისვას კითხვა, სწორედ ჩამფა < ჩამქვა ხომ არ წარმოადგენს ძელქვის მეგრული შესატყვისის ფონეტიკურად ცვლილ (რეგრესულ ასიმილაციით გაფშვინვიერებულ) ვარიანტს (*ჩა[c]¹⁵-ქუა>ჩა[c]ქუა>ჩამქუა>ჩამფა).

ფიტკირი

სვანურს ქართული ქვითკირი || ქვითკირი ფიტკირად გადაულია:

ფიტკირს ემდგორი ზს ესერ ხაკუ ლწფყვას
ქვითკირი თორმეტი წელიწადი შრებოდაო¹⁵.

ფიტკირს ნარდვ ესერ ხოჩა ხარ ი ნზხვირ — ხოლა.

ქვითკირის სახლი საცხოვრებლად კარგიაო, ნანგრევები — ცუდი¹⁶.

აფუ¹⁷

თანამედროვე ქართულში სტატიკური აქვს ზმნა გამოხატავს უსულო საგნის ქონას: აქვს ხელი, ჭკუა, ჯოხი, წიგნი...

ცნობილია, რომ ძველ ქართულში იგი გამოიყენებოდა როგორც უსულო საგნის, ისე სულიერი არსების ქონა-ყოლის აღსანიშნავად:

რამეთუ ველმწიფებაა აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტეეებად ცოდვათა — ლ 5,24¹⁸.

აქუნდა თევზიკა მცირედ — მრკ 8,7.

ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემს — მ 9,36.

კაცი არა მ აქუს, რამათა... შთა-მცა-მავდო საბანელსა -- ი 5,7.

ქართულს სხვა ზმნებიც მოეპოვება ქონა-ყოლის გამოსახატავად.

¹⁵ [c]-ში ვგულისხმობთ სონანტს.

¹⁶ აღექსი დავითიანი, სვანური ანდაზები, თბ., 1973, გვ. 143, №№ 28, 29.

¹⁷ ამის შესახებ დაიბეჭდა კრებულში „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. III, თბ., 1963, გვ. 29—32.

¹⁸ აქაც და ქვემოთაც: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.

სულიერი არსებისათვის ამჟამად გაბატონებულია ჰ-ყავ-ს ზმნა. ამ მხრივ განსაკუთრებული მრავალფეროვნებაა (დრო-კილოებისა და კონტექსტების მიხედვით) ძველ ქართულში¹⁹.

ზანურშიაც სულიერი არსებისათვის ზოგადად გამოიყენება იგივე ჰ-ყ ა ვ ს-ს ზმნის ფუძე (მეგრ. *ც-უნ||ც-ვენ*, *კან. ყ-ო(ვ)||ც-ო(ნ)||ა-ონ*), ხოლო უსულოთათვის — *ღ*²⁰ (<ღვ?).

-ჰვ- ფუძე არც ზანურში და არც სვანურში არა ჩანს.

აღნიშნულ -ჰვ- ფუძესთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მეგრულის თითქოს განმზოლოებით მდგომი ა ფ უ („აქვს“) ზმნა, რომელიც ისევე არა ჩანს სხვა ქართველურ ენებში (ი გ ი ჰ ა ნ უ- რ ი ს თ ვ ი ს ა ც კ ი უ ც ნ ო ბ ი ა), როგორც -ჰვ- ქართულის გარდა არ ჩანს სხვა ქართველურ ენებში.

მეგრულში აფუ გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენება როგორც უსულო საგნის, ისე სულიერი არსების გამომხატველ სახელებთან.

ა ფ უ გვხვდება შე დ გ ე ნ ი ლ შე მ ა ს მ ე ნ ე ლ შ ი. იგი ამდენადვე გამოიყენება მიმღობასთან, ზედსართავთან.

მაგ.:

ხე ა ფ უ ნ ა მ ო ჰ ა რ ი ლ ი — მ. ტ.²¹ 133₁₈ — ხელი ა ქ ე თ მოწერილი.

ათეს დ ე ნ ა ჩ ი ნ ა ა ფ უ ნ ი ა ჩქინდა — იქვე, 72₂₅ — ამას ჩვენთვის დაბარებული ა ქ ე ს ო.

და ზ ე პ ი რ ე ბ უ ლ ი მ ა ფ უ ბოშიშ სიტყვა — იქვე, დაზები- რებული მ ა ქ ე ს ვაჟის სიტყვა.

ვაჰარენს ა ფ უ ნ ა ართ მაჟიაშა ნ ა რ ა გ ა დ ე — იქვე, 38₁₉ — ვაჰარენს ა ქ ე თ ერთმანეთისთვის ნათქვამი.

პირობა ა ფ უ დ უ მ ე ჩ ა მ ი ლ ი — იქვე, 213₁₇ — პირობა ჰ ქ ო ნ და მიცემული.

ოქიში ე ტ ყ ა ბ ა რ ე ლ ი ა ფ უ ნ ა — იქვე, 163₁₁ — წელი გადა- ტყავებული ა ქ ე თ.

ირფელი დონწყილი რე, მუთ ს ა ჰ ი რ ო ა ფ უ ... — იქვე, 132₁₂ — ყველაფერი მოწყობილია, რაც ს ა ჰ ი რ ო ა ქ ე ს ...

ჩინჩიშ ე ფ შ ა ა ფ უ დ ე ღუდი — იქვე, 140₁₈ — ჩინჩოთი ჰ ქ ო ნ და თავი სავსე.

¹⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 230; ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქარ- თულში, თბ., 1954, გვ. 158.

²⁰ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 345, 356.

²¹ მ. ხ ე ზ ე ა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.

თე ძღაბის ს ა მ ხ ი ა რ უ ლ ო ა ფ უ თ ე ნ ა — იქვე, 148₁₂ — ამ ქალიშვილს სასიხარულო აქვეს ეს.

ქვარა ჭ ვ ი რ ი ა ფ უ შქირენით²² — მუცელი დამწვარი აქვეს შიშშილით.

არძოს თოლი წყარამი აფუ — იქვე, 156₂₉ — ყველას თვალი წყლიანი აქვეს.

გური ალაქვირი მ ა ფ უ — იქვე, 118₁₄ — გული დაწყვეტილი (დამწვარი) მაქვეს.

გ უ ლ ი რ ი ა ფ უ ვ ა დ ა — იქვე, 119₁₄ — ვადა აქვეს გასული.

ოგურაფუშა მ ა ფ (-მ ა ფ უ) ო უ ლ ა რ ი — მ. ტ. 201₁₆ — სასწავლად ვარ წასასვლელი („...მაქვეს წასასვლელი“).

ჩქიმი რაში დინაფილი მ ა ფ უ ნ ლ ო... — იქვე, 96₁₂ — ჩემი რაში დაქარგული მყავს („მაქვეს“) და...

(ჯოლორი)... ხაზენს თეში აფუნია რ დ ი ლ ი ა — იქვე, 40₁₈ — (ძალლი)... პატრონს ისე ჰყავს („აქვეს“) გაზრდილიო...

ჩხოულეფი მ ა ფ უ ო თ ხ ი ლ ა რ ი ა — იქვე, 170₃ — ძროხები მყავს („მაქვეს“) მოსამწყემსიო.

დედამიწაშ გილმალუ დაპატოიებულ აფუ ჭუკის არდა — იქვე, 48₁₆ — ქვეყანაზე მოსიარულე (რაც დადის) ყველა დაპატოებული ჰყავს („აქვეს“) თავეს.

დიდა ლო მუმა დაგირებულ აფუ ლუ — იქვე, 131₂₈ — დედა და მამა დაგირავებული ჰყავდა („ჰქონდა“, „აქენდა“).

ასე მა დარიგებულ აფუ ქ — იქვე, 30₂₅ — ახლა მე დარიგებული გყავარ („გაქვე-ვარ“).

ჩქი ჟირი კოჩი ვაფუთო გიშაგორილი ოყვილარო? — იქვე, 162₃₅ — ჩვენ ორი კაცი ვყავართ („ვაქვე-ვართ“) ამორჩეული მოსაკლავად?

გიორგი ჩინებულ აფუ მუშ დიდა ლო მუმას — იქვე, 153₁₀ — გიორგი „ცნობილი“ არ ჰყავს („აქვეს“) თავის დედას და მამას (=ვერ იცნეს).

ოსურეფიშ განიშე მ ა ფ უ ქ ი ა მ ი შ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ უ ლ ი ა — იქვე, 138₁₄ — ქალებში მყავხარ („მაქვე-ხარ“) ჩათვლილიო.

ხენწიფეს მუმა აფუ ლუ რ ე ლ ი — იქვე, 109₂₇ — ხელმწიფეს მამა ჰყავს („აქვეს“) მკვდარი და სხვ.

22 И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-П., 1914, с. 175.

იგივე აფუ მეგრულში გვხვდება არსებით სახელთანაც, როცა ლაპარაკია არა განუსაზღვრელად, ზოგად ყოლაზე (ან ქონაზე), არამედ როცა დაკონკრეტებული მიკუთვნებაა ერთი ადამიანისა (ან ნივთისა) მეორისადმი, როცა ვინმე (ან რამე) ვინმეს რამედ მოუღის, ერგება.

შეადარე, ერთი მხრივ, „პეტრეს ჯიმა ცუნს“ — „პეტრეს ძმა ჰყავს“ და, მეორე მხრივ, „პეტრეს პავლე ჯიმა აფუ“ — „პეტრეს პავლე ძმა ჰყავს (აქვს)“ = „პეტრეს პავლე ძმად მოუღის, ერგება“, „პავლე პეტრეს ძმა“.

მაგ.:

ათე ბეგო მუაფუ მუსუნ — მ. ტ. 99₁₆ — ეს ბეგო თუ რა არის მისი (ეს ბეგო თუ რად „ჰყავს“ [„აქვს“], მოუღის მას“).

ცაქუდი აფუნ დო დიხა — ჩაფულა — იქვე, 136₁₆ — ცაქუდად აქვს და დედაშიწა — ქალამნად და მისთ.

მსგავს კონტექსტთა სემანტიკურ-სტილისტიკური ბუნების გამო აფუ ჩვეულებრივ ადამიანის კატეგორიის სიტყვებთან გვხვდება: მოჯგირე აფუ, ნტერი აფუ, მეძობელი აფუ, ჯიმალი აფუ და მისთ.²³

აფუ აქ, როგორც ვხედავთ, ერთვის სახელობითი ბრუნვის ფორმის მქონე სახელს და მასთან ქმნის ერთგვარს, ისევე შემადგენელ შემასმენელს, რომელსაც ქართულში ვითარებითი ბრუნვა უდგება²⁴.

აფუ-ს ამ ფუნქციისათვის საყურადღებო პარალელები დასტურდება აქუ-ს ზმნისა ძველ ქართულში ისეთი ტიპის ფრაზებში, როგორიცაა:

ყოველსა წინასწარმეტყველად აქუნდა იოვანე — მარკ II, 32.

ვითარცა მამად გვაქუნდა სიმტიცშ შენი — ი. მოც. 56, 8.

მიუხედავად იმისა, რომ განხილულ მასალაში აფუ მეშველი ზმნა თანამედროვე ქართულის სამ ზმნას შეენაცვლება („აქვს“, „ჰყავს“, „არის“), კონსტრუქციულად იგი „აქვს“. „ჰყავს“ ზმნების შესაბამისია, ხოლო ამოსავალი სემანტიკის მიხედვით — „აქვს“ ზმნისა.

²³ მეორე მხრივ აქვე შემოდის ის შემთხვევები, როცა ინვერსიულ ზმნაში გრამატიკული ქვემდებარე არა ჩანს, როგორიცაა: შშია, მწყურია, მცივა, მცხელა და მისთ. შდრ.: შქერენი მათუ დო ცუმენი — მ. ტ. 212₃₄ — „შშია და მწყურია“ (= „სიმშობილი მაქვს და წყურვილი“).

²⁴ სახელობითისათვის ქართულში შდრ.: „მამა ცოცხალი ჰყავს“.

უსულო-სულიერის გაურჩევლობის თვალსაზრისით მეგრ. აფუ ძველი ქართულის აქუ-ს დონეზეა.

აფუ-ს ფუნქციის გარკვევის შემდეგ დგება კითხვა თვით ფუძის რაობისა. აფ-უ||აფ-უ-ნ-ში -უ არის ზანური გარდაუვალი ზმნების დამახასიათებელი სუფიქსი (შდრ. ულ-უ¹ <ულ¹-უ-ნ¹ „აქეს“, უჩქ-უ-ნ¹ „იცის“ და მსგავსნი).

აფ- ფუძე იგივე უნდა იყოს, რაც ქართ. აქვ- ფუძეა.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს რიგი გარემოება, კერძოდ ის, რომ ზანურში არ დასტურდება (ა)-ქვ- ფუძე²⁵.

ასევე უცნობია აფ- ფუძე ქართულში²⁶.

ქართ. ა-ქვ-, მეგრ. აფ ფუძეთა იდენტურობას, როგორც ვნახეთ, ხელს უწყობს ფუნქციური მხარე, მათი გამოყენების არეალი. ფონეტიკური თვალსაზრისით ამ ფუძეთა ერთიანობის საფუძველი ჩანს ლაბიალური ქვ კომპლექსის ბილაბიალურ ფ ხშულში გადასვლის პროცესი.

მეგრ. აფ- (<აქვ-) შეთვისებული ჩანს ქართულიდან. ამას უკვე თქმულის გარდა ნათელს ხდის ა- პრეფიქსული ხმოვანი, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს ამ აგებულების ზმნების დამახასიათებელ ზანურ შესატყვისს, არამედ ემთხვევა სათანადო ქართული ფუძის გახმოვანებას.

ბუნებრივია დაისვას კითხვა, როდის უნდა შესულიყო აქვ- ზმნა ქართულიდან მეგრულში?

აფ-(უ)-ს ფუნქციური სიახლოვე ძველი ქართულის აქვ-(ს) (აქუ-ს)-თან გვაფიქრებინებს, რომ აქვ- მეგრულში შესულა ჯერ კიდევ ძველი ქართულიდან. შესაძლოა ქანურში არარსებობა ამ ფუძისა (აფ-<აქვ-) იმის მაუწყებელი იყოს, რომ ამ ზმნის შეთვისება მეგრულში მოხდა იმ ეპოქაში, როცა, როგორც ვარაუდობენ, ქართულ კილოებზე მოლაპარაკე ტომებმა დაიკავეს ტერიტორია მეგრულ და ქან ტომებს შორის²⁷.

25 -ქვ- ძირი გამორიცხული არაა ზანურშიაც იყოს განსხვავებული მნიშვნელობით, მაგრამ ჩვენ აქ გვინტერესებს მისი მნიშვნელობა „ქონა-ყოლას“ გაავებით.

26 იგი არ შეიძლება უკავშირდებოდეს ძველი ქართულის „უ-ვ-ის“ ზმნას. ამას ხელს უშლის სხვა გარემოებათა გარდა (კერძოდ, ფუნქცია) ხმოვნითი ელემენტის საკითხიც.

27 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1913, გვ. 56—57; ი. ყაფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. XV; არნ. ჩოქოზავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936, გვ. 5, 8—9.

ბილაბიალური ფ მომდინარე „ჰვ“ ლაბიალური კომპლემსიდან

ფურაფა

ფ უ რ ა ფ ა მეგრულში მასდარია „გახურების“ გაგებით.

არის შემთხვევები, როცა სიტყვის ფუძეში გამოვლენილი ფ(უ) მიემართება ხუ კომპლექსს, მაგრამ ირკვევა, რომ ამოსავალში აქ ხუ სპირანტ-ლაბიალური კომპლექსი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ კუ ხშულ-ლაბიალური კომპლექსი და სწორედ მას მოუცია ფ(უ), ე. ი. ეს პროცესი სავარაუდებელია ჩატარებულიყოს ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ენას კ ფარინგალური ხშული ჰქონდა დაცული.

ამ რიგისად მიგვაჩნია კერძოდ, ქართ. ხურ-ება (<ძვ. ქართ. ჯურ-) და მეგრ. ფ უ რ ა ფ ა (ქართ. გახურებული, მეგრ. გოფურაფილი). ამდენადვე, ფ(უ) მეგრ. ფ უ რ- ფუძისა სათავეს იღებს ჯურ- ფუძის კუ ლაბიალური კომპლექსიდან.

ბუნებრივია ანალოგიური საკითხი დაისვას ზოგი ბ<გვ-ს შესახებაც, რამდენადაც დასაშვებია ფარინგალური მქდერის (ღ) არსებობა.

ფეშტნეა

თუშურში პ. ხუბუტიას ფეშტნეა მოყვანილი აქვს „მ ც ო ნ ა-რ ი ს“ მნიშვნელობით: „სვიოდი ფეშტნეა ხარი, ბნ“¹ („საესებით მცონარე ხარ, ბიჰო“). ამ სიტყვის ამოსავალი სახეობა უნდა იყოს თუშურში ავტორისავე დადასტურებული იმავე შინაარსის ჯენეშოა² (ბგერათა გადასმით).

1 პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 155.

2 იქვე, გვ. 186.

ბილაბიალური ჰ მომდინარე „კვ“ ლაბიალური კომპლექსიდან

კაპელა

იმერეთის სოფ. ჰალვანში დადასტურებულია სიტყვა კ ა პ ე ლ ა. მას ლექსიკური მასალის შემკრები (ლ. ბიწაძე) ასე განმარტავს: „კაუჭი, მოკაუჭებული ჯოხი“-ო და დასძენს: „ზემო-იმერეთის სხვა სოფლებში მას შეესაბამება კ ა კ უ ჰ ა, კ ა კ უ ტ ი: კ ა კ უ ჰ ე ლ ა“-ო¹.

აშკარაა იმერ. კაპელა-ს ამოსავალი სახეობა იყო კაკვი მისი კნინობითობის -ელა სუფიქსიანი ვარიანტით — *კაკველა (შდრ. იქვე კ ა კ უ ჰ ე ლ ა).

პიკვალი

მეგრულში პ ი კ ვ ა ლ ი ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ს ასე აქვს განმარტებული: „выпученный, вздутый (почки на деревьях, женские груди)“².

იმავე ავტორს მეგრულში მითითებული აქვს კვიკვილი მსგავსივე მნიშვნელობით („почки на дереве, специально на ольхе“:—თასი კვიკვილო ემაცოთამა „уничтожить совсем букв. с семенем и почками“). იგი უდარებს ამ ფუძეს ერთ მხრივ, ქართ. კ უ კ უ რ ს ა და კ ვ ი კ ვ ი რ ს და მეორე მხრივ, მეგრ. გ ვ ი გ ვ ი ლ ს³.

პ ი კ ვ ა ლ ი მომდინარე უნდა იყოს კ ვ ი კ ვ ი ლ ი-საგან (შდრ. აქვე, ბ ი ბ ი ლ ი < გ ვ ი გ ვ ი ლ ი!)—ალ სუფიქსიანი დაბოლოებით (შდრ. კ ვ ი კ ვ ა ლ ი — იგივე ფუძე კნინობითის გახაზვით).

პონუა

პონ- ფუძეს შეიცავს მეგრულში ზმნა პონუა, მიკო-პონუა, რო-მელსაც ი. ყიფშიძე თარგმნის ასე: „приставить, прислонить“⁴. იგი

¹ ლ. ბიწაძე, ქართლური დიალექტის გავლენისათვის ზემო-იმერულზე სოფ. ჰალვანის მეტყველების მიხედვით, თსუ სტუდენტთა კრებული, 1958, გვ. 223.

² მისი დასახ. ნაშრ., გვ. 298.

³ იქვე.

⁴ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 299.

თავისი სემანტიკით საერთო ჩანს ქართ. კონ-ეზა (ე-კონ-ებ-ა)-სთან, რომლის მნიშვნელობა განიმარტება როგორც: „ეკვრის, ეხუტება“⁵ და მომდინარეც შესაძლოა იყოს სწორედ ქართულში შემონახული კონ- სახეობიდან (<||კტონ).

პაიჭაძე

გურიაში საკმაოდ გავრცელებული გვარია პაიჭაძე. როგორც სხვა შემთხვევაში არა ერთი გვარი, ესეც გამორიცხული არაა დაფუძნებული ყოფილიყო სათანადო საკუთარ სახელზე. გვხვდება მისგან ნაწარმოები სოფლის სახელწოდებაც — პ ა ი ჭ ე ს ე უ ლ ი (სოფ. ხიდისთავის თემში, ჩოხატ. რ.).

ამ გვარის სახელის ამოსავალი სახეობა უნდა იყოს ქართულშივე არსებული გვარი კვაიჭაძე⁶. კვაიჭაძის შემდგომი გამარტივებული სახე (ი- ხმოვნის ჩაყარვით) უნდა იყოს კვაჭაძე (გურიაშივე გავრცელებული გვარი)⁷.

ანალოგიური ფონეტიკური ცვლილებისათვის შდრ. შაინიძე⁸ და მისთ.

პოვნა

საფიქრებელია პოვნა ზმნის ძირეული პ თანხმოვანი მეორეული წარმოშობისა იყოს.

თვით ზმნის მნიშვნელობისათვის დასაშვებია სხვადასხვა გაგება ყოფილიყო ამოსავალი. ამის ნიმუშს გვაწვდის ქართული ენისავე დიალექტები. ცნობილია, მაგალითად, რომ ხევსურულ დიალექტში პოვნა არ გვხვდება. შესაბამისი მნიშვნელობით იქ გამოდის შაყელვა, რაც კელ სიტყვასთან არის დაკავშირებული⁹. მაგრამ ეს ერთი გზაა მისი გამოხატვისა.

პოვნა ზმნის ფარდი სიტყვა მეგრულში პალ- ფუძეს იყენებს: ჩვეულებრივია უარყოფის გამოთქმებში: ვე-პალ-უ — „არ იპოვება“ და მისთ.

⁵ ქეგლ. ტ. III.

⁶ იხ. გაზეთი „თბილისი“ 1962 წ. 29 ნოემბრისა, გვ. 4, 1966, 4 და 5 მაისის ნომრები.

⁷ თვით „კვაიჭაძე“-ც, საფიქრებელია, გარკვეული ცვლილებით შედეგი იყოს. არაა გამორიცხული ხმოვანთა შორის (კერძოდ ი-ს წინ) ჩაყარვით იყოს თანხმოვანი.

⁸ იხ. აკ. შაინიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. თეთრი ქორა. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, 11 დეკ., გვ. 2.

⁹ აღ. კინკარაული, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

საგულისხმოა, რომ ი. ყიფშიძე ერთმანეთს უკავშირებდა სათანადო მეგრულსა და ქართულ ფუძეებს: „მაპალ¹⁰უ¹ (რ. მეპოვება — родственно, надо думать, и по корню¹⁰. ხაზგასმა ჩვენია! — ქ. ლ.), თუმცა დადებითში მათი ხმაარება ნაკლებ ბუნებრივია. ისინი ძირეული მასალით მოსალოდნელია უკავშირდებოდნენ კვალ-სიტყვას (ფუძისეულ -აღ, -ეგ, -ოვ დაბოლოებათა საკითხი საგანგებო ძიებას მოითხოვს).

ეს მნიშვნელობავე კარგად მქლავდება ფშაურში, სადაც ძებნა-პოვნისათვის სწორედ ეს ამოსავალი „კვლევა“ იხმარება:

ქალს ნუ ჰკვლევ ჯვარობაშია
ტანთ ნათხოვარი აცვია
ქალი თუ ვინდა ლამაზი,
დაჰკვლიე ქერის მკაშია¹¹.

ან კიდევ: „ნათქვამს რალა კვალის კვლევა (ხაზგასმა ჩვენია! — ქ. ლ.) უნდა, თითონვე იძახის, სოსეს ვენახზე შემოვიარო!“¹².

ანალოგიისათვის საყურადღებო პარალელს გვაწვდის აფხაზური ენა. აქ ძებნა-პოვნა დაკავშირებულია სწორედ კვალთან. შდრ. აშთა — „კვალი“ და — დ-ა-შთო-ტბ „ის (აღ.) მას (ნ.) ეძებს“ (= „მის-კვალს-არის“).

მეგრულში უარყოფითი „ვე-პალ-უ“-ს გვერდით დადებითი ფორმით იგივე შინაარსი ვფიქრობთ გადმოცემულია სავარაუდო „კვ“-ს შემცველი სახეობით გამოთქმაში „ქიმკიკვალუ“, რაც ნიშნავს „დაიკარგა“, — „არ იპოვება“ = „კვალი არ ჩანს მისი“.

პანტა

პანტა წვრილი, პატარა ნაყოფის სახელად გამოიყენება. ქართულში საერთოდ იგი „ტყის მსხალია“¹³. გურულ კილოში კი — „ტყის ვაშლს“ ჰქვია. არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში იგი ვაშლის ან მსხლის ამსახველი არ უნდა იყოს. თავისი ძირითადი ფუნქციით იგი უნდა წარმოადგენდეს მსაზღვრელს და საზღვრულთან ერთად სრული სახით უნდა ყოფილიყო მხოლოდ ასე: პანტა მსხალი, პანტა ვაშლი, რაც მიუთითებდა იმას, რომ მხედველობაშია წვრილი მსხალი თუ ვაშლი.

10 ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

11 ვაე-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1961, გვ. 306.

12 ვაე-ფშაველა.

13 ქეგლ, ტ. VI.

ეს გაგება კარგადაა გადმოცემული იმ ილუსტრაციაში, რომელიც ქ. ძოწენიძეს მოჰყავს იმერულისათვის: „პ ა ნ ტ ა მსხალსაც ერქმევა და ვაშლსაც, როცა უნამყენოა“; „ნამყენი რო არ არი და წვრილია ვაშლი და სხალი, პ ა ნ ტ ა ს ვუძახით ჩვენე“¹⁴.

ამოსავალი ფუძით (პ ა ნ ტ ა შ ი ტ-ს წინ განვითარებული ნ-ს გარეშე) იგი უნდა უკავშირდებოდეს მეგრ. კ ვ ე ტ ე რ ე / ლ ე ო -ს, რომელიც ასევე ვაშლისა და მსხლის სიპატარავის განმსაზღვრელად გამოიყენება: „კვეთერე (||კვეთელე) უშქური“, „კვეთერე (||კვეთელე) სხული“¹⁵. შდრ. მეგრულშივე მეტსახელი ბავშვისა კვეთე — „პაწია“.

საყურადღებოა, რომ იმავე იმერულში პანტა-ს გვერდით ამოსავალ მეგრულ ვარიანტში დაცულ კვეთელე ფუძესთან ახლო მდგომი „პანტელა“ სახეობა გვხვდება¹⁶.

რაც შეეხება პ ა ნ ტ-ის ა ხმონიან ვარიანტს, იგი უჩვეულო არ არის სათანადო ფუძისათვის ქართულ დიალექტებში, შდრ. კ ვ ა ჭ ა ჭ ა „პატარა (აღამიანი)¹⁷, კ ვ ა ტ ა მ უ ჭ ა „ტანით პატარა“¹⁸ და სხვ.

¹⁴ ქ ე თ ე ვ ა ნ ძ ი წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული ლექსიკონი.

¹⁵ შდრ. სეანურში: პატარის აღმნიშვნელი „გოწო“ გამოთქმებში: „გოწო ვისგ“ „პანტა ვაშლი“, „გოწო ვიცხ“ „პანტა მსხალი“ (ალ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ.).

¹⁶ ქ ე თ. ძ ი წ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

¹⁷ ქართლური დიალექტის ლექსიკონი, 1981.

¹⁸ პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.


ბილაბიალური პ მომდინარე „ჰვ“ ლაბიალური კომპლექსიდან

პირი

მეორეული წარმოშობის პ უნდა გვექონდეს მეგრულ პირ- სიტყვაში, რომელსაც ვარიანტებად აქვს პეირ-ი, პეულ-ი. ი. ყიფშიძე მათს შემდეგს განმარტებასა და თარგმანს იძლევა: „цветок, цветы на деревьях“¹.

როგორც წარმოდგენილი ვარიანტებიდან ჩანს, მეგრულში სუფიქსისეულ თანხმოდენად -ლ-ცა გვაქვს და -რ-ც (პეული||პეირი||პირი).

ამოსავალი ამ ფუძეთათვის უნდა ყოფილიყო იგივე უვავილი შემდეგი ცვლილებებით:



ჯამპი

მეგრული ჯამპი „თუთის ხე“-ს აღნიშნავს. იგი რთული შედგენილობისაა. მისი პირველი ნაწილი ჯა, როგორც ცნობილია, ზანური შესატყვისია ქართული ძ ე ლ ის ა და აქვს ხ ის მნიშვნელობა. მეორე ნაწილი მპ-ი კი გარკვეული რთული ცვლილებების შედეგად უნდა იყოს მიღებული მავვალ- სიტყვისაგან. რაც დღეს მეგრულში მ უ ე -, მ უ ე ი ა-ს სახით არის წარმოდგენილი (ნაყოფის სახელად)² და რაც მეგრულისათვის *მოყვ- სახეობას გვაგარაუდებინებს³.

ამრიგად, ჯამპი გამოდის „მ ა ყ ვ ლ ის ხ ე“, „ხ ე-მ ა ყ ვ ა ლ ი“. მ ა ყ ვ ა ლ ს ამ შემთხვევაში უფრო ფართო კენკროვანი ნაყოფის შინაარსი აქვს.

¹ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 298.

² ალ. მ ა ყ ა შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

³ Karl Horst Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes süd-kaukasischen Grundsprache. Wiesbaden. 1962, s. 123.

მ ა ყ ე ლ ის მეგრ. ამოსავალ *მოყვ- ფუძეში ყვ ცვლილა წვ-დ (*მ ო ყ ვ-||*მ უ ყ ვ->*მ უ ე ვ-) მეგრულისათვის საერთოდ დამახასიათებელი ყ>ე პროცესის საფუძველზე, ხოლო განხილული ყვ(>წვ) კომპლექსისაგან პ ბაგისმიერ ხშულად შერწყმის ნიადაგზე მიგვილია მვ (<მყვ>მწვ). საფიქრებელია, ეს მოხდა ყვ-ს წვ-დ ქცევამდე.

ეს ლაბიალური სახეობა აღდგენილი ფუძისა დღესაც დასტურდება მეგრულშივე ციმცვა („მარწყვი“) სიტყვაში. ამდენადვე სავსებით სარწმუნოდ გვეჩვენება ი. ყიფშიძის მიერ მულ-ისა და ციმცვა სიტყვათა ურთიერთ დაკავშირება⁴.

მეორე მხრივ იმავე ამოსავალ წინასაფხურის ლაბიალურ (*მუყვ-) ფუძეში წვ-ს მოსვლია დელაბიალიზაცია (ალბათ, წინმავალ უ-სთან დისიმილაციით. მსგავსი მოვლენა უნდა გვქონდეს მეგრ. ოყე-ში, — რაც ი. ყიფშიძეს მართებულად აქვს დაკავშირებული ქართ. „საყვირთან“⁵, და — რომელიც მომდინარე ჩანს *„ოყე“-საგან) და წარმოდგარა მ უ ე ი, მ უ ე ი ა.

ჯამბ⁶ სახეობა მოყვანილი სიტყვისა ჯ ა მ პ ის შემდგომი გამარტივებაა.

ეს გამარტივებული ვარიანტი დასდებია საფუძვლად ტოპონიმებს, როგორცაა: ჯამანა⁷ (ლანჩხუთის რ.) <*ჯ ა მ პ ო ნ ა (ე. ი. „თუთოვანა“) და ჯამაჭარი⁸ (ხობის რ.), ე. ი. ადგილი, სადაც შეაქარივით ტკბილი თუთაა.

გამარტივებულია ჯ ა მ პ სიტყვის ფუძე სხვა მიმართულებითაც. მეგრულში თუთის ნაყოფისათვის გამოყენებულ ჯ ა მ კ ა კ ა ლ-ში მარცვლის გაგებით კ ა კ ა ლ სიტყვის დართვისას სამი თანხმოვნის თავშეყრის გამო წინმავალი ფუძისეული პ ჩამოშორებია და *ჯ ა მ პ-ისაგან შემოგვრჩენია ჯ ა მ-.

წიამპოლა

მ ა რ წ ყ ე ის თ ვ ის ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა სახელი გვხვდება. იმერულ დიალექტში მას წ ი ა მ . პ ო ლ ა ს ეძახიან⁹. იგი ორი სიტყვისაგან უნდა შედგებოდეს. პირველ კომპონენ-

⁴ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 285, 370; აგრეთვე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ეკონომ. ისტ., ტ. II, გვ. 280.

⁵ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი.

⁶ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი.

⁷ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გამოცემა პეოთხე, თბ., 1977.

⁸ იქვე.

⁹ აღ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი..., გვ. 47. 'იმერული დიალექტის ლექსიკონები (ბ. წერეთლისა, ქ. ძოწენიძისა, პ. გაჩეჩილაძისა) მას არ უთითებ-

ტად გამოიყოფა წია-, რომელიც მსაზღვრელად უნდა გვევლინებოდეს (იხ. ქვემოთ), ხოლო მეორე ნაწილი იგივე მ ა ყ ვ ა ლ ი (-ა სუფიქსდართული) სიტყვაა, რომელიც ზოგადად კენკროვანი ნაყოფის შინაარსით არის გამოყენებული. ამიტომაც ბუნებრივია იგი მსაზღვრელსაც მოითხოვს (შდრ. აქვე, ჯ ა მ პ ი).

სწორედ ამ მეორე -მპოლ-ა ფუძეში მომხდარა მკვეთრი ლაბიალური კომპლექსის მკვეთრ ბაგისმიერ ხშულად შერწყმის ფაქტი და მ ა ყ ვ ა ლ - სიტყვის ყვ-საგან მიგვიღია პ, ხოლო ამ ნიადაგზე *მ ა პ ა ლ - > *მპალ->მპოლ- (ბაგისმიერთა -მპ-ს გარემოცვაში ა > ო).

რომ ამ სიტყვას სწორედ ასეთი ცვლილება მოსვლია და პ ამ გზით მოდის მ ა ყ ვ ა ლ სიტყვისაგან, ამას ნათელს ფენს მეგრულში არსებული იგივე სიტყვა ციმცვა, ცუმცვა, ცუმცუა (>ცემუა)¹⁰.

მეგრულის ციმცვა იგივე წიამპოლა < *წიამაყვალა არის პირველი თანხმონის ფშვინვიერი სახეობით.

ამ სიტყვის გავრცელების თვალსაზრისით საყურადღებოა ადიღურ ენათა ვითარება. ქართველური ენებიდან იგი შესული ჩანს აღნიშნულ ენებში.

ადიღურში საერთოდ მ ა რ წ ყ ვ ე ს ი ს , მ ა ყ ვ ე ლ ი ს ა და თ უ თ ი ს თ ვ ი ს ა ც გამოიყენება მ შ რ ა კ ი შ . ასე, მაგალითად, შაფსულურ დიალექტში მ შ რ ა კ ი შ „მ ა რ წ ყ ვ ს“ აღნიშნავს. ამ მხრივ ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ ყაბარდოულში მ ა ყ ვ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს გამოიყენება მ შ რ ა კ ი შ პ წ შ , ე . ი . „შ ა ვ ი მ ა რ ა კ ვ ა“ = „შავი მ ა რ წ ყ ვ ი“¹¹.

კენკროვანთა სახელების ერთიდან მეორეზე გადანაცვლებისა და განსხვავებულად ფ ე რ ი ს აღმნიშვნელი მსაზღვრელის დართვის ფაქტი ფრიად ანგარიშგასაწევია სწორედ განსახილველი ფუძეების ეტიმოლოგიის დროს.

ადიღურ ენაში (შაფსულური დიალექტის გამოკლებით) გარდა ამისა მ ა რ წ ყ ვ ე ს თ ვ ი ს გვხვდება იგივე ქართველური ენების

ბენ. პირადად ჩვენ იგი ქვემო იმერულში გავგიჟონია. როგორც იმერული დიალექტის კუთვნილება შესულია ქველ-ში (ტ. VIII).

რ. ერისთავს თავის ბოტანიკურ ლექსიკონში (იმერულისათვის) ივა შეტანილი აქვს წ ი ა მ პ ო ლ ი ს სახით. იხ. მისი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, თბ., 1884, გვ. 35 (§ 528).

¹⁰ ი . ყ ი ფ შ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი; ალ. მ ა ყ ა შ ე ლ ი , დასახ. ნაშრომი.

¹¹ А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, А.-Н., Москва, 1977, с. 266.

ფუძის ნაწილობრივ განსხვავებული სახეობა — ც'იგმჟჳ (შდრ. წ ი ა მ-პ ო ლ ა || ც ი მ ე ყ ა < * ც ი მ ე ყ ვ ა < * წ ი მ ე ყ ვ ა...) ¹²

სპეციალურ ლიტერატურაში ყაბარდოულისათვის არ უთითებენ ამ სიტყვას ¹³.

სათანადო ლექსიკონებში მარწყვისის აღსანიშნავად რუსული სიტყვა земляника არის შეტანილი ¹⁴.

მაგრამ ყაბარდოულშიაც რომ უნდა გვექონოდა ეგვევ ფუძე (და გამორიცხული არაა დიალექტთა ლექსიკაში დღესაც იჩენდეს თავს), აშკარა ხდება აბაზური ენის მონაცემებით. აბაზურში შემონახულია ყაბარდოულიდან ნასესხები მარწყვისის სახელწოდებად ჟიგმჟ. მისი ვარიანტი ჟიუმჟ წარმოდგენილია სალიტერატურო ენაში ¹⁵. აბაზური ენის აშხარულ დიალექტში ჩვენ ჩაწერილი გვაქვს მისი ჯ'იგმჟ სახეობა, ე. ი. — გაუფშენივიერებული. ჟიუმჟ||ჯ'იგმჟ აბაზურში აღნიშნავს როგორც მარწყვს, ასევე თუთას და საერთოდ კენკრას.

აბაზურში შემონახული ზემოთ მოყვანილი ჟიუმჟ||ჯ'იგმჟ ფუძე ადიღეური ენის ც'იგმჟჳ-ს (<*ც'იგმჟა) ყაბარდოულ შესატყვისის წარმოდგენს თავისი მჟღერი ლაბიალიზებული ჯ'ი სპირანტით (რომელიც თავის მხრივ აფრიკატის სპირანტიზაციითაა წარმოქმნილი) და იმ დროს უნდა იყოს შესული აბაზურში, სანამ ყაბარდოულში ადიღეური პრერუპტივი ც'ი-ს შესატყვისად მჟღერი ლაბიალიზებული ჯ'ი — სპირანტიდან მომდინარე კბილბაგისმიერ ვ-ს მივიღებდით.

ახლა რაც შეეხება წ ი ა მ პ ო ლ ა ს პირველ კომპონენტს, წ ი ა მ ა ს შ ი წ ი თ ლ ი ს აღმნიშვნელი ფუძე უნდა იყოს და რაკი მპოლ-ა მაყვალ- სიტყვის ფუძეს ეყრდნობა, ბუნებრივი იყო „მარწყვისის“ სახელი რთულ, კომპოზიტურ შენაერთში წარმომდგარიყო „წითელი-მაყვალის“ —საგან, ე. ი. იმავე მაყვალს მსაზღვრელად მარწყვის დამახასიათებელი ფერის აღმნიშვნელი ფუძე დართვოდა (შდრ. ზემოთ. ადიღეურში, პირიქით, მაყვლისთვის „შავი მარწყვის“ დარქმევა).

ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა ივ. ჯავახიშვილის მიერ მითითებული ერთი დეტალი. იგი წერს: „მარწყვისის ჭანურ სახელად

¹² სვანურში გვხვდება აღნიშნული ფუძე დელაბიალიზებული სახით, რის გამოც დატულია უ ამოსავალი თანხმოვანი: ც ი ნ ყ ა „მოცივი“ (იხ. აღ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 47), დაშდვე ც ი ნ ყ ა — ხეჭრელი (იქვე, გვ. 98) „დათვის მოცივი“? დაშდვეშ ც ი ნ ყ ა „დათვის მოცივი“.

¹³ იხ. А. К. Шагиров, დასახ. ნაშრომი.

¹⁴ Русско-кабардинский словарь, მოსკოვი, 1955.

¹⁵ Русско-абазинский, словарь, მოსკოვი, 1956.

ნ. მარს „კანდლუ“ აქვს აღნიშნული (ჭ. გ. 152), მაგრამ იოს. ყიფ-
შიძის ჰანეთში ყოფნის დროს მარსის ნაშრომის თავის წიგნში
ამ ადგილას კიდევ ფრჩხილებ შუა ფანქრით მიუწერია „მაყვალთაო“.
ხოლო ზემო კიდევ მარჯვნივ ფანქრითვე მარწყვის (земляника) ჰა-
ნურ სახელად ჩაწერილი აქვს „მჭითა კანდლუ“. მასასადამე, მარწყვს
„წითელი მაყვალი სწოდებიაო“ დაასკვნის¹⁶.

ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს არქ. ლამბერტის აღ-
წერილობაზე: „სამეგრელოში მარწყვი ისე ბლომად არის, რომ
თითქოს წითელი ხალი დაუგიათო“¹⁷. ამ აღწერილობაში განსაკუთრე-
ბით დამახასიათებელია არქ. ლამბერტის გამოთქმა „თითქოს წითელი
ხალი დაუგიათო“. ივ. ჯავახიშვილი ასევე მიმართავს გარსევან ჩოლო-
ყაშვილის „ხილთა ქებას“, სადაც იგი მარწყვის მთავარ თვისებათაგან
მის წითელ ფერს უსვამს ხაზს: „მარწყვა სთქვა: „მოვალ პირველად.
მე ვერა მისწრობს ხილიცა, ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერე საქ-
მელად ტკბილიცა“¹⁸. „წ ი ა მ პ ო ლ ა ს თ ა ნ“ დაკავშირების გარეშეც
ივ. ჯავახიშვილს ზემოთ გაანალიზებული „ც ი მ ე ც ვ ა“-ს ცი „წითლის“
მნიშვნელობის მქონედ მიაჩნია და აღნიშნავს „წი“-ს ფონეტიკური
სახეცვლილება უნდა იყოსო¹⁹.

წი- ფუძის, რომელშიაც ინტერვოკალური პოზიციის წყალობით
თანხმოვანი ჩანს გაუჩინარებული, — წითლის მნიშვნელობით გამოყე-
ნება როგორც ცნობილია (იხ. ქვემოთ) არც თუ იშვიათი მოვლენაა
ქართული ენის რთულ სიტყვებში.

წი-ა წი-თ-ე-ლ-ს უკავშირდება ძირეული მასალით. ია-ს შორის
თ თანხმოვანი (ან რომელიმე ბგერინაცვალი) ჩანს ჩავარდნილი. ცნო-
ბილია, რომ წი-ა-ს ჰია შიშინა სახეობაც მოეპოვება (იხ. ქვემოთ), რაც
გვაძლევს გარკვეულ შესატყვისობას ქართულ-ზანურის ტიპისა, შდრ.
ქართ. წი-თ-ე-ლი და ზან. ჰით²⁰, მაგრამ შიშინა ვარიანტი, რო-
გორც ირკვევა, ქართულშიაც არაიშვიათად გამოჩნდება (ქართულ დია-
ლექტებში შიშინა ვარიანტის გავრცელების საკითხი საგანგებო ძიებას
მოითხოვს როგორც ამ შემთხვევაში, ისე არა ერთ სხვა შემთხვევაში).

სიტყვა წი-თ-ე-ლი და მისი ზანური შესატყვისი საერთო იბე-

16 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1934, გვ. 277.

17 იქვე, გვ. 275.

18 იქვე, გვ. 276; 281.

19 იქვე, გვ. 280.

20 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 234—235.

რიულ-კავკასიურ მონაცემად ითვლება. ეტიმოლოგიურად მას ცეცხლის აღმნიშვნელ-ფუძეს უკავშირებენ²¹.

ქართ. წითლის წარმომავლობაზე სხვა მოსაზრებაც არსებობს. მ. ანდრონიკაშვილი ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა კავშირშია ოსურ-დიგორულ ფორმებთან c'etun:c'itt „ნათება, განათება“ და c'ita „სხივი“ (მცირე სინათლისა = ირონ. „ruxsy c'yr't“-სო) და იგი ერთ-ერთ, მაგალითად შეაქვს ქართულში სკვითურ-ალანურ-ოსური ენებიდან შეთვისებულ სიტყვათა რიგში²². მაგრამ ამ ვარაუდს ანგარიშგასაწევი დაბრკოლებები ელობება წინ. ჯერ ერთი, ავტორს არა აქვს მოცემული ზემოხსენებულ სიტყვათა არც ეტიმოლოგია და არც ფუძის ისტორია ირანულ ენათა ამოსავლის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ოსურის ცნობილი სპეციალისტები c'yr't/c'irt-ისა და ruxsy c'yr't-ის, — რომელთანაც ზემოხსენებულ მსჯელობაში გაიგივებულია დიგორული ვარიანტი, — სულ სხვა გაგებასა და ეტიმოლოგიას იძლევიან. ვ. აბაევის მიხედვით: „c'yr't/c'irt брызга, маленькая короткая струйка; ruxsy c'yr't лучик света...“ ბოლოს კი ავტორის დასკვნით იგი არის „звукоподражательное слово“²³.

შეიძლება სადაო იყოს ვ. აბაევის მიერ მოცემული ეს კვალიფიკაცია ფუძისა, მაგრამ სხვა დამაჯერებელი ახსნა ოსურის სათანადო სიტყვებისა თითქმის არა ჩანს.

ეგებ, თუ მართლა აქ ქართულთან საერთო ფუძე გვაქვს — პირიქით დასმულიყო საკითხი — ქართულიდან ზომ არ შესულა იგი ოსურში. ამ მხრივ დამაფიქრებელია კერძოდ მკვეთრი აფრიკატის არსებობა ოსურის ფუძეში (მით უმეტეს ამოსავალში).

წია-ს თავისი ძირითადი მნიშვნელობით, — ცეცხლის გაგებით გამოჰყოფენ „წია-კოკონია“||„წია-კოკოლა“-ში, რომე-

21 არნ. ჩიქობავა, „ცეცხლი“ და „წითელი“ — საერთო ფუძის სიტყვები იბერიულ-კავკასიურ ენებში“. მოხსენება წაკითხული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-6 (12) სამეცნიერო სესიაზე 1955 წ. იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 19—20.

ზოგ შემთხვევაში ეს წითლის აღმნიშვნელი წია-სისხლ-საკვ მიემართება. ქ. ძოწენიძეს, მაგალითად, იმერეთში დამოწმებული აქვს გამოთქმა მამაწიათ („მამასისხლად“): „მამაწიათ იყიდებოდა ჩემი თავმობმელი ქვეკრა და ისარნა“ (იხ. მისი, ზემო-იმერული ლექსიკონი, თბ., 1974).

ამგვარი მიმართებისათვის ინტერესს აღძრავს ჰან. დიკხირი („სისხლი“) და გურულ დიალექტში დადასტურებული დუცხი „მეტად წითური“ (იხ. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, კრბ.: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938).

22 ნზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 127.

23 В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л., 1958, с. 340.

ლიც საყოველთაოდ გავრცელებული „ჭ ი ა კ ო ნ ა“-ს ტოლფარდია და რომელსაც განმარტავენ როგორც „აკოკოლავებულ ცეცხლს“²⁴. ამის კვალობაზე მისი მეორე კომპონენტი გაგებულაა გაორკეცებულ ფუძედ²⁵.

წ ი ა კ ო კ ო ლ ა || ჭ ი ა კ ო კ ო ლ ა, წ ი ა კ ო კ ო ნ ა || ჭ ი ა კ ო კ ო ნ ა-ს სემანტიკური გადანაცვლების თვალსაზრისით ძალზე საინტერესო გამოდის იმერულ დიალექტში დადასტურებული მნიშვნელობა წიაკოკონია-სი, რომელსაც ასე განმარტავენ: „ალიაქოთი, ჩხუბი, დავიდარაბა“; „წივილ-კივილი, ალიაქოთი, არევე-დარევა“ („ქორწილი იყო, მოხთა ჩხუბი და შეიქნა წ ი ა კ ო კ ო ნ ი ა“)²⁶.

ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობით გამოყენება ნათელს უნდა ჰყენდეს ქართულ ენაში არსებულ „ა წ ი ო კ ე ბ ს“, „წ ი ო კ ო ბ ს“ ზმნათა ამოსავალ სემანტიკას.

თავდაპირველად იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ჭ ი ა კ ო კ ო ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს დამახასიათებელ უ ი ვ ი ლ-ხ ი ვ ი ლ თ ა ნ, ალიაქოთთან, წ ი ვ ი ლ-კ ი ვ ი ლ თ ა ნ. თითქოს წ ი ვ ი ლ ი ს ხ მ ის გამოცემა ედოს მას საფუძვლად, ეს მოჩვენებითია. თვით ეს წივილ-კივილის ხმა ჭიაკოკონობის — წიაკოკონობის თანამგზავრია.

სიტყვის ასეთი სემანტიკის განხილვისათვის საყურადღებო კონ-

24 ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ეტიმოლოგიური ეტიუდები (I. ჭიაკოკონა), ქართველურ ენათა სტრუქტურა, V, თბ., 1981.

25 ვ. ა ბ ა ე ვ ი, ქართ. (რატულ) „წია კოკონია“-ს ოსურ. kakon/кoпoпkа, koki (ქაქონ||ქონოჩნა, ქოქო)-სთან, — რაც „კვრინჩხს“ ნიშნავს, — კავშირში იგონებს, თუმცა ოდენ კითხვას სვამს, ხომ არ ნიშნავს იგი „კვრინჩხისგან დანთებულ კოცონს“ იხ. მისი Историко-этимологический словарь осетинского языка, I, 1958, с. 568).

ასეთი ერთიანობის შესაძლებლობას გაორიციხავს გ. ახვლედიანი და თავის მხრივ ერთმანეთს უახლოვებს ქართ. ჭ ი ა კ ო კ ო ნ ა ს : და ოსურ kɔпa-ს (კონას), რომელსაც თარგმნის ასე: „очаг, костер; жилище, дом“ (იხ. მისი, Сборник избранных работ по осетинскому языку, Тб., 1960, с. 207).

ამ სიტყვათა კავშირი სარწმუნოდ მიაჩნია მ. ანდრონიკაშვილს (იხ. მისი, ნარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 56, 69).

მაგრამ ასეთი ვარაუდის დროს საჭიროა პასუხი გავცეს რიგ საკითხს. კერძოდ, გასარკვევია, რა მიმართებაშია ოსური k'ɔпa (კონა) მთლიანად რთულ „ჭიაკოკონა“ გამონათქვამთან; რით აიხსნება ამ ვითარებაში „გაორკეცებული“ სახე „კ ო კ ო ნ ა“-სი; რა მიმართება იგულისხმება k'ɔпa-სა და „აკოკოლა“-ს შორის და სხვ.

გასარკვევია თვით ოსური k'ɔпa-ს ამოსავალიც. მას ვ. აბაევი თარგმნის მხოლოდ „очаг“-ად და ეტიმოლოგიურად დაჰყავს რა სათანადო ირანულ ფუძემდებ, სვამს საკითხს მისი შესაძლო კავშირის შესახებ „სახლის“, „ბინის“ თურქ.-ირანულ სახელებთან (იხ. აბაევი, იქვე, გვ. 636), ე. ი. გასარკვევია თვით ოს. k'ɔпa-ს ამოსავალი მნიშვნელობა.

26 ჭ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

ტექსტს ვხვდებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში: „ჯერაც თვალწინ მიდგას... ხალხის წიოკი ცეცხლში“.

წიოკობა სიტყვის ფუძე საკმაოდ გაცვეთილი ჩანს. აშკარაა ხმოვანთ შორის გვაკლია თანხმოვანი. და ეს თანხმოვანი უნდა ყოფილიყო წიოკობის მეორე გაორკეცებული ფუძის კ თანხმოვანი, ე. ი. „წიოკობა“ საფიქრებელია მომდინარეობდეს „წიოკობა-საგან. ეს კი თავის მხრივ „წიოკობა“-საგან.

მეტად საყურადღებოა ამასთან დაკავშირებით ამავე მნიშვნელობის მქონე „წიოკ“ სიტყვა ფშაურისა, რომელიც წიოკ-ს უდრის და რომელშიც სწორედ ეს ჩვენ მიერ ნავარაუდები გაორკეცებული ფუძის პირველი კ არის შეერჩენილი, მაგრამ „მოცვეთილია“ ბოლოკიდური მეორე კ (<*წიოკ...): ატირდებიან ერთადა, გამაადენენ წიოკსა²⁷.

წითლის გამომხატველი წია- არამართო წია-მპოლაში გამოიყოფა, იგი შედის მეორე კომპონენტ-მსაზღვრელად „ყელწია“-ში. ეს სიტყვა გურულში ნაჩვენები აქვს პ. ჯაჭანიძეს და ასე განმარტავს: „ყელწია — ყელწითელა, გულწითელა ჩიტია“²⁸. ყელწია, ყელწითელა ჩიტად ფიქსირებულია აპარულშიც: „ვითომ სკიბოჩს დუმისზე, მარა, ერთიც ვნახოთ, ჩემ წინ ყელწია არ დავარდა“²⁹

ჭია-||წია-ს „წითლის“ გაგებით გამოყენების სხვა ფაქტებიც იქცევა ყურადღებას. ასეთად გვესახება ჭია-მაია³⁰.

ამ სიტყვის ანალიზისას პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჭია „ხოჭოს“ გაგებით მოგვაგონდება³¹ და ამიტომაც, რომ იოანე ბაგრატიონს თავის ლექსიკონში იგი შეაქვს „მარიამ ჭია“-ს სახით და იძლევა შემდეგ განმარტებას: „ბუზის ტოლია, ტანით წითელი (ხაზგასმა ჩვენია! — ქ. ლ.) და ზურგზედ ორი შავი ხალი აქვს, გაფრინდება კიდევ...“³². საბასაც ჭია-ზე აქვს სწორედ იგი შეტანილი³³.

27 იხ. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა, თბ., 1969.

28 პ. ჯაჭანიძე, გურული კილო, I, თბ., 1977.

29 შ. ნიქარაძე, აპარული ლექსიკონი, გვ. 370.

30 შდრ. ალ. ჭინჭარაული, ზემოთ დასახ. სტატია.

31 ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1980, გვ. 135.

32 იოანე ბაგრატიონი, სალექსიკონო მასალები, წიგნ. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ლილი ქუთათელაძემ, თბ., 1967, გვ. 199.

33 იხ. ლექსიკონი, გვ. 496, ჭია სიტყვაზე.

ხალხში მისი დახასიათებისას მუდამ ხაზი ესმის მის სიწით-
ლეს. ინგილოურში იგი „მარიაშაჲ“-ს სახით გვხვდება. მისი აღწე-
რისას ვკითხულობთ: „... დაისვამენ ხელზე და ეტყვიან: „უჩ მარიაშ,
უჩ, წითელ კაბას (ხაზგასმა ჩვენია! — ქ. ლ.) შეგიკერავ, უჩ, უჩ“!
ისიც გაშლის ფრთებს და გაფრინდება“³⁴.

ჭია-მამიას სახელდებისათვის, ფუძის ამოსავალი შინაარსის
გაგებისათვის ფრიად მანიშნებელია იმერულ დიალექტში დადასტუ-
რებული მისი სახელწოდება „წითელი მარია“ („წითელი მარია
გაფრინდა“)³⁵.

ამავე სიტყვათა რიგს განეკუთვნება: ჭიაფერი, ჭიაფერა.

ჭიაფერი, რომელშიაც ჭია- „წითლის“ აღმნიშვნელი და „ფე-
რი“ გამოიყოფა შემადგენელ ელემენტებად, საკმაოდ სრულად და
ადეკვატურად არის დახასიათებული ქართული ენის განმარტებით
ლექსიკონში. აქ ვკითხულობთ: ჭიაფერი... წითელი ფერის საღებავი.
მოყვანილია ბ. ჯორჯაძის ილუსტრაცია „წვენიში ჩაყარეთ ჭიაფერი,
წმინდად დანაყილი, დადგით და ორი პირი წამოადუღეთ“||წითელი.
მოყვანილია შ. არაგვისპირელის ილუსტრაცია „[ასულს] მარჯვენა ხე-
ლის სალოკი თითი... ჭიაფერ ფუნჩულა ტუჩზედ მიედო“. ჭიაფრად
ზმნს. წითლად, მოყვანილია ვაჟა-ფშაველას ლექსიდან ადგილი „სისხ-
ლი ჩამოსდის დემურსა ტანზე ჭიაფრად, ჩქეფითა“³⁶.

მსგავს შედარებებში იგი ფართოდ გამოიყენება. შდრ. მაგალი-
თად: თავს დაკრა დედაბერასა, გაართხა მიწა-მტვერასა, აგლეჯდის
თმისა წვერასა, სისხლს სდენდის ჭიის ფერას³⁷.

ჭიაფერს — „წითელი ფერის საღებავს“ — მეგრულად სწორედ
„ჭითა ფერს“ („წითელ ფერს“) ეძახიან.

ჭიაფერა-ც, მცენარის სახელწოდება, ჭია- პირველი ნაწილით
წითელზე მიუთითებს. იგი ასე ხასიათდება: „მრავალწლოვანი
ბალახოვანი მცენარე; აქვს მოწითალო (ხაზგასმა ჩვენია! —
ქ. ლ.) დატოტვილი ღერო, თეთრი წვრილი ყვავილები და ყურძნის
მტევნის მსგავსად შეკრებილი ნაყოფი (საღებავად და მეღვინის
თებლად იხმარება)“³⁸.

ამ მცენარის აღნიშნული სახელი ქართულში საერთოდაა გავრცე-
ლებული, მაგრამ აღ. მაყაშვილს ქართულის დიალექტებსა და სხვა

34 ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.

35 ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი.

36 ქეგლ, ტ. VIII.

37 ბესიკი, თხზულებანი, 1962, გვ. 151.

38 ქეგლ, ტ. VIII.

ქართველურ ენებში განსხვავებული ფუძეებიც აქვს მოყვანილი. ესენია: კხ., იმერული საფერავი, გურ.-იმ. ფერა-ფერა, ლჩხ. — მეფერ-ვიე. რაქ. — ფერუა. აქ. — ჭყურტა, მეგრ. — ჯამფეზია, ჯაფეზია, ჯაფაზია. სე. — ჯამფეზ³⁹.

ფერ სიტყვის მნიშვნელობა ამ ხის მოყვანილ ფუძეებში ერთგვარად დავიწროებულია წითელი ფერის (საღებავის) გაგებით. რის გამოც შესაძლებელი გახდა „ჭიაფერა“-სთვის მათი გამოყენება თვით წითელის აღმნიშვნელი ჭია-კომპონენტის გარეშე, როგორც ეს უკვე ივ. ჯავახიშვილს აქვს გარკვეული⁴⁰.

ფერის ამდაგვარ გაგებას იძლევა „ფერ-უმარილიც“ და საყურადღებოა. რომ ნ. მარს ჭანურში ფერი ამ მნიშვნელობით აქვს ფიქსირებული („ფერი... красная краска для лица“)⁴¹.

ამისდა კვალობაზე მეგრ. „ჯამფეზია“ უნდა იზღებოდეს ასე: „ჯა“ („სე“) და „მფეზია“ < *მაფერია („მაღებავი“ [წითლად]), შდრ. ლენხუმური „მეფერვიე“. ზ („მფეზია“-სი) მომდინარე უნდა იყოს რ-საგან მ ხმოვნის წინ.

ჯაფეზია ვარიანტში ბაგისმიერი ფ-ს წინ მ გაუჩინარებულია.

წითლის აღმნიშვნელი იგივე ძირი, რაც ზემოთ განხილულ ფუძეებში გამოვლინდა, საფიქრებელია, გვქონდეს ზოგ სხვა სიტყვაშიაც, ვფიქრობთ, მართებულად უკავშირებს ამ ფუძეს აღ. ჰინჭარაული „წითელი ხარის სახელს“ წიქარა-ს⁴². ჩვენი მხრივ დავუმატებდით რაქული დიალექტის ლექსიკურ მასალაში (რომელიც შეკრებილია გ. რეხვიაშვილის მიერ) მოცემულ დახასიათებას: „წუთულას წითელ ძროხას ვეტყვიოთ. ხარს არ ეტყვიან წუთულას. წითელ ხარს წიქარას (ვ)უძახით“.

ეგების ამ ფუძისა და მისი შინაარსის გამოვლინება იყოს ზევსურულში გავრცელებული მამაკაცის — „წიქა“-ს — სახელში.

წითლის განხილულ ფუძესთან დაკავშირებით შეიძლება განხედეს საკითხი ზოგი სხვა საკუთარი სახელის ფუძის ანალიზისა. ხომ არ შეიცავს ჭია ფუძეს წითლის გაგებით მამაკაცის სახელი ჭიბერი? მისი მეორე ნაწილი ცნობილი ფუძეა (შდრ. კახაბერი და მრავალრიცხოვანი გვარის სახელები). შდრ. მზე-ჭაბუკი. გვარის სახელებში, რომლებიც ჩვეულებრივ მამაკაცის სახელებიდან არის ნაწარმოები, საკმაოდ ხშირია წითლის შემტეული ფუძე; მაგალი-

39 აღ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

40 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ე. წ. ისტ. II, 489.

41 Н. Марр, Грамматика чапского (лазского) языка, С. хрестоматиею и словарем, С.-П., 1910, с. 193.

42 იხ. მისი დასახ. სტატია.

თად: წითლიძე, წითლანაძე, ჭითავა, ჭითანავა... ჩვეულებრივია მამაკაცის ეპითეტად მწითული და სხვ.⁴³

აღნიშნული წითლის შინაარსის მქონე ძირეული ნაწილი გაორკეცებული სახითაც გვხვდება ზოგ სიტყვაში.

ასეთია, მაგალითად, ციციანთელა-ს, ჩვენი აზრით, ამოსავალი სახეობა, — რაჭულ დიალექტში დადასტურებული — წიწინათელა⁴⁴.

საგულისხმოა, რომ იგივე ძირითადი ვარიანტი ამ სიტყვისა წიწინათენა-სა და წიწინათერ-ის სახით (ალბათ ქართულიდან შესული) მითითებული აქვს ნ. მარს ჭანურში⁴⁵.

ამოსავალი ჭანურისთვის რაჭულში დაცული სახეობა გვეონა, რაც უნდა ნიშნავდეს „წითლ-წითლად მანათობელს“⁴⁶.

ამავე თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იქცევს ზმ. რაჭულში არსებული სახელწოდება მარწყვისა წიწინდერა (შდრ. ზემოთ: წია-მპოლა) და მეგრულში ციმცუთ-ას გვერდით ხმარებული წიწინდერა, წიწინდარა⁴⁷.

წიწინდარა||წიწინდერა-ში შემავალი პირველი ნაწილი იგივე წიწინა-გაორკეცებული ძირია, რაც გვაქვს „ციციანათელას“ ამოსავალ „წიწინათელა“-ში.

ამ სიტყვათა ანალიზისათვის საგულისხმოა მეორე ნაწილის მნიშ-

43 საგულისხმოა, რომ ტოპონიმურ სახელდებაში ასევე გავრცელებულია ეს ფუძე: „წითელი“ — „ადგილია ჩარგალში“ (ვაჟა ფშაველას მცირე ლექსიკონი. გვ. 364). ხშირად გვხვდება „წითელ-გორა“, „წითელ-მთა“, „წითელ-ხევი“, „წითელ-წყარო“, „წითელ-კლდე“, „წალ-წითელა“, „ქითა-წყარო“ და მისთ. ამავე საფუძველზე ხომ ასეთივე გაგების ჭია- არ მონაწილეობს გეოგრაფიული სახელების „ქიათრი“-ს, „ქიათურ“-ის შემადგენლობაში კერძოდ, „ქიათურა“ ხომ არ არის მომდინარე „ქითაურა“-საგან ბგერათ გადასმით (მის ანუ სემანტიკას ერთგვარ გამართლებას მიანიჭებდა მის მიდამოებში წითელი მარმარილოს სახეობების არსებობა).

ოღონდ ამ რიგის ფუძეებში ზოგი საკითხი მაინც დასაზუსტებელია. ვასარკვევია მაგალითად „წიქარა“-ში ქ წითელ ფუძეში არსებული თ-ს ბგერინაცვალა (რომლის ცალკეული ფაქტები ქართულში დასტურდება) თუ ცალკე ფუძის კუთვნილება? კერძოდ, მოსალოდნელია წიქარა მომდინარეობდეს წი-ქარა-საგან (წიქარა-ქარა) — წარმოების ტიპის მიხედვით ამ ვარაუდს უდაოს უნდა ზღადავს „შავ-ფურა“-ს არსებობა; — „ქიათურა“-ში თ მართლა გადაისვა, თუ — ისიყ სხვა ფუძის ნაშთია და სხვ.

44 იხ. ზემოთ მოხსენებული გ. რეხვიასეილის მიერ შეკრებილი რაჭულის ლექსიკური მასალა (ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფონდი).

45 Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-П., 1910, с. 219, 220, 146.

46 არსებობს მისი ეტიმოლოგიის სხვაგვარი ახსნაც: პ. გაჩეჩილაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები (ცივი, ციცივი, ციციანთელა...), კრბ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.

47 ალ. მავაშვილი, დასახ. ნაშრომი.

ენელობის გარკვევა. „ციცინათელას“ მსგავსად მეორე ნაწილიც დამოუკიდებელ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა -დარა||-დერა თითქოს ცალკე არ გვხვდება. მაგრამ მისი წარმომავლობის გასარკვევად გასაღებს იძლევა რ. ერისთავისა და ალ. მაყაშვილის მიერ იმერულში ივე დამოწმებული მარწყვის სახელწოდება დარდალა⁴⁸.

აი ამ ფუძის მარტივი სახეობა -დარა||-დერა შედის წიწინდარა|| წიწინდერა-ში⁴⁹.

მარწყვის ეს სახელი შესულა აფხაზურ ენაში მეგრულიდან ან რაჭული დიალექტიდან და აფხაზურში მოუცია „აწჯწდრა“. ბზიფურ დიალექტში ფუძისეული აფრიკატი სისინ-შიშინა ვარიანტით არის გადაღებული⁵⁰ (შდრ. ზემოთ, აც'გიჟ' — სიტყვის სისინ-შიშინა ც' და სხვა მსგავსი ფაქტები!). საყურადღებოა, რომ აფხაზურში ეს სიტყვა არ გვხვდება.

⁴⁸ რ. ერისთავი, დასახ. ნაშრ., გვ. 35 (№ 528); ალ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

⁴⁹ აქ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. იმერეთში ცალკე არსებული მარწყვის სახელი დარდალა გაორკეცებული ფუძის შთაბეჭდილებას ახდენს. თუ მართლაც იგი გაორკეცებული ფუძეა, რაიმე კავშირში ხომ არ არის ქართულ დიალექტებში დადასტურებულ „გიზგიზის“, „გარვარის“ აღმნიშვნელ გაორკეცებულ ზმნის ფუძესთან — „დადანდარება|| დადანდალება“-სთან? გურული დიალექტისათვის გ. შარაშიძეს (იხ. მისი, დასახ. ნაშრ.) მოცემული აქვს: „დაჯანდალება, დადანდარება ცეცხლისა — დაგუგუნება, აგიზგიზება“.

⁵⁰ ალაიძე ლეჩხუმურისათვის იძლევა შემდეგ განმარტებას: „გაჯარალება — გახურება, გავარვარება: „ნამეტანი გაგიდარდარებია ეთონე“ (იხ. მისი, ლეჩხუმური ლექსიკონი. კრბ. ქართველურ ენათა ლექსიკა. თბ., 1938).

ამის კვალობაზე „წიწინდარა“ — ე. ი. მარწყვი — ხომ არ გაიგებოდა როგორც „წითლ-წითლად მოგიზგიზე, მოვარვარე“?

⁵⁰ Русско-абхазский словарь (по «Абхазско-русскому словарю» Н. Марра, с указателем к нему составили В. Кукба и А. Хашба), под редакцией К. Дондуа. Труды яфетической семинарии, III, Л., 1928, с. 22.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ უკანაენის-მიერ და ფარინგალურ ხშულთა ლაბიალური კომპლექსების ბილაბიალურ ბ ფ პ ხშულებად შერწყმის პროცესი საკმაოდ გავრცელებულია ქართველურ ენებში, თუმცა მას სისტემური ხასიათი არა აქვს. ეს მისი არასისტემური ხასიათი (ე. ი. პროცესი შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არ განხორციელდეს) გარკვეულ სიძნელეებს ქმნის ცვლილებათა მიმართულების დადგენის დროს, ისევე როგორც ეს ხდება ყოველგვარი ასეთი ხასიათის ფონეტიკური პროცესის შემთხვევაში.

ამ ფონეტიკური ცვლილების წარმოქმნას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ფიზიოლოგიური საფუძველი ბგერათწარმოებისა (ერთდროულად ხშულობა და ლაბიალურობა როგორც კომპლექსში, ისე მის რეფლექსში) და, მეორე მხრივ, აკუსტიკური მომენტი.

როგორც ყოველი სპორადული ხასიათის ფონეტიკური პროცესი, იგი ფეხს იკიდებს მნიშვნელობა-დაზნელებულ ფუძეებში (თავფართეჲ, ზუბი, პოვნა...), ადვილად ხორციელდება ნასესხებ ფუძეებში (პიროსიკა¹, აფუ, ფიტკირი...)², რთული შედგენილობის ფუძეებში და ა. შ.

იგივე ლაბიალური ხშულები შეიძლება მივიღოთ ქართველურ ენებში (მსგავსად სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისა, კერძოდ, აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებისა) წინარიგის ხშულებისა და აფრიკატებისაგანაც ლაბიალურ გარემოცვაში, მაგრამ ასეთი შემთხვევები

¹ ალ. კობახიძე, კინობითობის წარმოება რაჭულში, ენიკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1952, გვ. 160.

² იშვიათად სასაუბრო ენაში შეინიშნება თითქოს საწინააღმდეგო მოვლენა: ნასესხებ სიტყვაში უ-ს წინამავალი უკანაენისმიერი ხშული აღქმულია ბაგისმიერ ხშულად, მაგ.: გულავკა — гулавка, გულვარდი — гулвард, გუფეტი — гуфет (იხ. ვ. თოფურია. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V, ვ აონანტის გადასვლა ღვ, გვ, ქვ-დ. ენიკის მოამბე, ტ. X, 1941, გვ. 234). აქ აკუსტიკურ მომენტთან ერთად გარკვეულ როლს უნდა ასრულებდეს სხვა ენის სუსტად მცოდნის მიერ თავისებური გააზრება სათანადო ფუძეებისა და მას კანონზომიერების ხასიათი არა აქვს.

არც თუ ისე გავრცელებულია და ხშირად მათ საფუძველად ისევ უკანანენისმიერი ხშულები აქვთ³.

ხშულთა შერწყმის ეს შესაძლო პროცესი ქართველურ ენებში მოქმედი ჩანს განვითარების სხვადასხვა პერიოდში (და თითქოს უფრო გავრცელებულია ზანურში). ზოგი აქ წარმოდგენილი მასალა შედარებით უფრო ძველ პერიოდზე მოდის, მაგალითად, ფ უ რ ა ფ ა, ა ფ უ... ზოგი კი შედარებით ახალია, როგორცაა ბ უ რ კ ა, უ ბ ი-ლ ა ვ ა და მისთანანი, რომელთაც ჯერ კიდევ პარალელური სახეობები შემორჩენიათ ერთსა და იმავე დიალექტში.

აქ წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულთა გარდა სხვა ბევრი ფუძეც იქცევს ყურადღებას განხილული კანონზომიერების თვალსაზრისით, მაგრამ გადაწყვეტით პასუხის გაცემა ჯერჯერობით მათ შესახებ კირს.

ვაზის ერთ-ერთი ადრეული ჯიში, მაგალითად, ცნობილია ბ უ-დ ე შ უ რ ი ს სახელწოდებით, ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ ჩერდება მასზე და აღნიშნავს: „ქახეთში, ქართლსა და სამცხეში გავრცელებული ყურძნის ჯიში ბ უ დ ე შ უ რ ი ამ ჯიშის სადაურობის მაუწყებელი სახელია და საფიქრებელია ბ უ დ ე შ ი-თგან მომდინარეობდეს“-ო⁴, მაგრამ ასეთი გეოგრაფიული სახელი მან ვერ დაადასტურა.

ირკვევა, რომ ქიზიყში იმავე ვაზის ჯიშის სახელწოდებად ბ უ-დ ე შ უ რ ი ს გვერდით გვხვდება გ უ დ ე შ უ რ ი ს. აღნიშნული ფონეტიკური პროცესის საფუძველზე საეხებით ბუნებრივია ბ უ დ ე შ ი ს გვერდით ვეძიოთ გეოგრაფიული სახელი გ უ დ ე შ ი.

არა ერთი მოსაზრება არსებობს მთის — „უ შ ბ ა“-ს ეტიმოლოგიის თაობაზე. ზოგი ვარაუდობს, რომ იგი თურქული სიტყვაა და „ს ა მ-თ ა ვ ი ა ნ“ („სამწვეროვან“) მთას ნიშნავს. ზოგი ამტკიცებს, რომ უ შ ბ ა ორთავიანია და, მაშასადამე, ეს ახსნა არ უდგება და სხვ.⁵ ვფიქრობთ, „უ შ ბ ა“-ს განმარტება სვანეთისევე სოფლის უშგულ-ის სახელწოდებისგან მოწყვეტით არ იქნება მიზანშეწონილი.

განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ სათანადო შედგენილობის ფუძეთა ანალიზისას საჭირო იქნება გათვალისწინებულ იქნეს ბგერათა შერწყმის ზემოთ განხილული შ ე ს ა ძ ლ ო პროცესი.

3 იხ. ქ. ლომთათიძე, ხშულ-ლაბიალურ კომპლექსთა შერწყმით მიღებული ბ ზ კ ქართველურ ენებში. ივე, ტ. XIV, 1964, გვ. 106—107.

4 იხ. მისი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1934, ტ. II, გვ. 411, 497—513, 525...

5 სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

6 В. А. Никонов, Краткий топонимический словарь, М., 1966.

РЕЗЮМЕ

В работе устанавливается закономерность одного из спорадически действующих фонетических процессов в картвельских языках — слияния в билабиальные смычные **brp** бифонемного комплекса (в состав которого входят заднеязычные или фарингальные смычные и лабиальный сонант), т. е. устанавливаются случаи происхождения смычных **brp** в ряде основ картвельских языков от комплексов: *gw />b/; kw, qw />p/; kw, qw />p/*.

Подобный процесс слияния бифонемного комплекса (или же сложного лабиализованного смычного) в билабиальные смычные известен и в других языках, напр., в индоевропейских, горских иберийско-кавказских.

Наряду с системным характером этот процесс в горских иберийско-кавказских языках может носить и спорадический характер.

Как всякий спорадический фонетический процесс и этот процесс почву для реализации находит часто в сложных основах, заимствованных словах (в данном случае имеются ввиду, в первую очередь, заимствования из грузинского языка в занский и сванский языки¹) и т. д.

На основе указанного процесса в работе дается попытка восстановить исходный вид ряда глагольных и именных основ, каковы:

название города Зугдиди—Zugdidi//Zubdidi<*zugwdidi

груз. *begwaws*—мерг. *gwaguns* „колотит, бьет“

груз. *ciba//cuga*<**cigwa* „кошка“; „собачка“

фамилия *ubilawa//ugulawa*<**ugwilawa*

мерг. *čamra*//<*čamkwa*—„клен высокогорный“

мерг. *aru[n]*←груз. *akw-s* „имеется у него“

груз. *pešunej*//<*qwnišoj*—„лентяй“

сванск. *pitkiri*<груз. *kwitkiri*—„каменный...“

груз. *paŋa* („дикая груша“—„мелкая груша“)...

<*kwaŋa* (диалект.) „мелкий“, „маленький“

мерг. *žamri*<**žamqwi*—„тутовое дерево“ и т. д.

¹ Что особо важно при выявлении общего языкового материала и закономерных звуковых соответствий.

სამიბელო

ქართველური

ა

აქეს (აქუს) 37, 38, 41
აფუ 37, 38, 39, 40, 41, 59, 60
აწიოკებს 53
აცხა 32

ბ

ბაბუცა 6
ბაბუციძე 6
ბაგვრა 31
ბაგუნდი 31
ბაია 31
ბატიქუკა 31
ბეგვა (ბეგვავს) 7
ბედმუშკი 31
ბელტი 8
ბერთი 8
ბერტი 8
ბზიფი 9
ბიბილ 5, 43
ბიბინი 5
ბიგვავა 6
ბიმბილ 5
ბობოხია 7
ბობოხიძე 7
ბორბალი 5
ბუდეშური 60
ბურკა 6, 60
ბურტყლა სამყურა 38

გ

გადარდარება 58
გასუკული ხე 22
გაქურჩენა 35

გაქურჩენა 35
გვაგვაფი 7
გვაგვილი 7
გვაგუნს 7
გვართა 8
გვიგვა 6
გვიგვილი 5, 43
გვილაგვა 7
გოგო 6
გოგოხია 7
გოგუცა 6
გორგალი 5
გორგოლა 5
გორგორა 5
გოწო (გოწო ვისგ, გოწო ვიცხ) 46
გუართა 8
გუგუციძე 6
გულეშური 60
გუემა 8
გული 34
გულაგვა 59
გულვარდი 59
გურკა 6
გუფეტი 59

დ

დადანდალება, დადანდარება 58
დარდალა 58
დაშდეე ცინყა 50
დგნალი 31
დგნარი 31
დიდი დიხა 11
დიხა-გუძუბა 11
დიდი ზუბუ 9
დიხაზურგა, დიხა ზურგა 19
დიხაზურგუ 21

დიცხირი 52
ღურცხი 52

ზ

ზეიგე 21
ზეიგვილდ 21
(ზეუკ/ქლით) Звукднт 15
ზიფუ 9
ზოგიში 18
ზორგვეთი 20
ზრუგალა 19
ზრუგენა 19
ზრუგიეთი 19
ზრუგიშა 18
ზუბი 12, 20, 21, 22, 23, 59
ზუბუ 9
ზუბდილი (ზუბ დილი) 8, 9, 13, 14, 15,
16, 17, 23
ზუბდილი (Зубднт) 16
ზუგ-ი 19, 23
ზუგა 19
ზუგდილი 8, 9, 13, 14, 16, 17, 18
ზუგე-ი 21, 22
ზუგეარ 21
ზუგია 11
ზუგილი 18
ზუგუ 21
ზუგულდ 21
ზურგი 18, 20, 22, 23
ზურგა 18, 19
ზურგანი 9, 18, 19, 20
ზურგდილი (ზურგ დილი) 9, 11, 12, 17,
18
ზურგული 20
ზუფი 9
ზუფუ 9
ზუქალია 22

თ

თავფართეა, თავფართაჲ 35, 36, 59
თავქეართი, თავქეართაჲ 35, 36
თავქეიაჲ 35, 36
თუთა 49, 50
თხა-თხა 25

კ

კაკალი 48
კაკუტი 43
კაკუჭა 43

კაკუჭელა 43
კანდლუ 51
კაბელა 43
კატა 23, 24, 25, 31
კატაბარდა 32
კატატირიფა 31
კატაწნორა 31
კატუ 23
კატუჭყარი 31
კატუჭყარიში ჯა 31
კახაბერი 56
კესანე 32
კვაიქაქე 44
კვალა (ქიმიკვალუ) 45
კვატამუკა 46
კვაქაქე 44
კვაქაქა 46
კვეტე 46
კვეტელე 46
კვეტერე 46
კვიკვალი 43
კვიკვილი 43
კვიკვირი 43
კვიცი 27
კვინცხლის ზურგი 20
კვლევა 45
კიცუ 27
კოკონა 53
კონება (ეკონება) 44
კურკა 6
კუქური 43

ლ

ლაგვილავა 7
ლეკის ხე 36
ლული 27
ლიხნი 9

მ

მამაწიათ 52
მარიამ ჰია 54
მარწუვი 48, 49, 50, 51, 58
მალაღმთის ბოკვი 36
მაყვალა 47, 48, 49, 50, 51
მაქელა 44
მღგნალი 31
მეფერევი 56
მზე-ქაბუკი 56

პიკოპონუა 43
მუხი, მუხია 48
მწითური 57
მქრთა კანდლე 51

6

ნასელი ზურგი 20
ნაქურცენი 35

ო

ოზრუგეთი 19
ოზურგეთი ღელე 19
ოზურგეთი 19
ოხე, ოხვე 48
ოცინდალე 30, 31

პ

პაიუაძე 44
პაიჭესეული 44
პალ (ვე-პალ-უ) 44, 45
პანტა 45, 46
პანტელა 46
პეირი 47
პეული 47
პიკვალი 43
პირი 47
პიროსიკა 59
პოენა 44, 59
პონუა 43

ს

საუზურგი 19
საფერავი 56
სისხლი 52
სუკი 22, 23
სუკიანი ხე 22

უ

უბილავა 7, 60
უბულავა 7
უგულავა 7
უშაბა 60
უშგული 60

ფ

ფარსმანდუკი 32
ფერი 56
ფერა-ფერა 56
ფერუა 56
ფეშენეა 42
ფინია 25, 26
ფიტკირი 37, 59
ფორჩუმანა 35
ფოხვი 31
-ფულა 34
ფულა 34
ფუმფლა 34
ფუმ-ფულა 34
ფურაფა 42
ფურცელი 35
ფურჩა 35
ფურჩუმალე 35
ფურჩუმელა 35
ფურჩქნის 35

ჭ

ჭეთიკირი, ქვიტკირი 37
ჭული 34
ჭულა 34
ჭურჩა 34
ჭურჩუმელა 35
ჭურჩმანია 35

ღ

ღული 34

ყ

ყელწითელა 54
ყელწია 54
ყვავილი 47

შ

შაფფურა 57
შაინიძე (შანიძე) 44
შეფურჩენა 35
შიყ 22

ჩ

ჩამფა 36, 37
ჩამჭვა 36, 37

ჩელტი 8
ჩერტი 8
ჩიბა 25, 26, 32
ჩიბაკონა 27
ჩიბანაჲ 27
ჩიბია 27
ჩიბირაშვილი 30
ჩიქეინი 31

ც

ცაბეჲ 27
ცაცხა 32
ცეცხლი 52
ციბა 23, 25, 26, 27, 29, 30, 32
ციბაძე 30
ციბაკი 25, 27
ციბრია 27, 32
ციბროჲ 27
ციბ-ციბ 25
ციგრიაშვილი 30
ციგროშვილი 30
ციმბალი 29, 30, 33
ციმბირი 30
ციმფა 29
ციმფია 29
ციმფეჲ, ციმფტა, ცემფეჲ 48, 49, 50, 51, 57
ცინდალი (ცინტალი) 29, 30, 31
ცინდალაჲ (ცინდალაჲ) 30
ცინდატ 29
ცინდელიანი 30
ცინდირი 30
ცინყა 50
ციფა 29
ციფ-ციფ, ციფო-ციფო 25
ციც 32
ციცა 23, 31, 32
ციცაბარდა 32
ციცანა 28
ციცასკულა 32
ციცელა 31
ციცინათელა 57
ციცინო 31
ციცუ 24
ციცულდ 32
ციცუნა 31
ციცუნია 31, 32
ცუგა 26, 27

5. ქ. ლომთათიძე

ცუგრია 30
ცუგრიელა 27
ცუგო 27
ძ
ძებნა, ძებნა-პოვნა 45
ძელქეჲ 36, 37
ძერქეჲ 37

წ

წია 49, 51, 52, 54
წიაკოკოლა 53
წიაკოკონა 32
წიაკოკონია 53
წიაშმოლა 49
წიაშმოლა 48, 49, 50
წითელი 51, 52, 57
წითელ-კლდე 57
წითელი მარია 55
წითელშთა 57
წითელ-წყარო 57
წითელ-ხევი 57
წითლანაძე 57
წითლიძე 57
წითური 52
წიკო 54
წიკობა (წიკობს) 53, 54
წიქა 56
წიქარა 56
წიქარა<წიქარა 57
წიწილათენა 57
წიწიმდერა 57
წიწინათელა 57
წიწინათერა 57
წიწინდარა, წიწინდერა 57, 58
წუთულა 56
წყალ-წითელა 57

ჭ

ჭია 51, 54, 55, 56
ჭიაბერი 56
ჭიათურა 57
ჭიაკოკონა 53
ჭია-მაია 54, 55
ჭიაურა 57
ჭიაფერი, ჭიაფერა 55
ჭითა 51
ჭითავა 57

პითანავა 57
პითა-წყარო 57
პიქუნი 31
პყურტა 56

ბ

ბალთა 8
ბართა 8
ბული 34
ბურება 42

პ
ჟამკაკალი 48
ჟამპი 47, 48, 49
ჟამფეზია, ჟაფეზია, ჟათაზია 56
ჟაპი 48
ჟაპანა 48
ჟაპშაქარი 48

ქ

ქენეშოა 42
ქურ- 42

აბაზურ-აფხაზური

ა-ზქია 22
ლამწაქურ 26
ა-მანწარ 26
ა-ნეში-გიალ 8
ქოგმფ/ზ'იგმპ 50
ქოგრგ 18
ქოგრგ 17
ა-შთა 45
აყაბახ (აყ'აბახ) 28, 29

ა-ცგიაბა, ა-ცგიაბალ (ა-ც'გიაბალ) 28,
29
ა-ცგიატს 28
ა-ცგოგ (ა-ც'გოგ) 24, 27, 29, 30, 32,
58
ა-ცხ (ა-ც'ხ) 28
ცგეიბა 30
ა-წგწგნღრა (ა-წ'გწ'გნღრა) 58

ადიღურ-უბიხური

გ'აღღუ > ჟ'აღღუ 24
გ'ატჯ 24
მარაკიან 49

მარაკიანწა 49
ქ'ათგუ > ჩ'ათგუ 24
ც'იგმფ 50

ოსური

c'etun 52
c'it 52
c'ita 52
c'yrt 52
gædy 23

kakon (ქაკონ) 53
koko (ქოქო) 53
konojnæ (ქონოან) 53
k'ona. kɔna (კონა) 53
ruxsy c'yrt 52

რუსული

Кот 23
Сибирь 30

Симбирск 30

ანდიური	კვანადური
გელუ 24	ქითუ 24
ახვასური	ლათინური
ქეთუ 24	caftu 24
ბაცბური	ლეზგიური
კატ 24	გაწ, კაც 24
ბოთლიხური	სომხური
გელუ 24	კატუ 23
გერმანული	ფრანგული
Katze 23	chat 23, 24
ღარგუული	ლოდობერიული
გატა 24	გელუ 24
ზიცეჲ-ზიცეჲ 32	ჩაჩნური
დილოური	ეშალ 26
გელო, კებო 24	ციციგ 24, 32
ჩიზა 26	წახურული
თაბასარანული	ბისო 24
გატუ 24	კამალური
თურქული	გილუ 24
kedı 24	ხვარშიული
ინგლისური	ქით 24
cat 23	ხუნძური
კარატაული	ციციკო 32, 33
იყო 32	ქეთო 23
კაპუჭური	
ველო 24	

შესავალი		3
ბილაბიალური ბ მომდინარე „გვ“ ლაბიალური კომპლექსიდან		5
ბილაბიალური ფ მომდინარე „ქვ“ ლაბიალური კომპლექსიდან		34
ბილაბიალური ფ მომდინარე „კვ“ ლაბიალური კომპლექსიდან		42
ბილაბიალური ჰ მომდინარე „კვ“ ლაბიალური კომპლექსიდან		43
ბილაბიალური ჰ მომდინარე „ჟვ“ ლაბიალური კომპლექსიდან		47
დასკვნა		59
Резюме		61
საძიებელი		62

КЕТЕВАН ВИССАРИОНОВНА ЛОМТАТИДZE

БИЛАБИАЛЬНЫЕ СМЫЧНЫЕ, ВОСХОДЯЩИЕ
К КОМПЛЕКСАМ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ

1984

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2129

რეცენზენტებია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: პროფ. ი. ქავთარაძე
თ. უთუქრგაიძე

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. თაყაიშვილი
კორექტორი მ. რამიშვილი

გადაეცა წარმოებას 17.6.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.5.1984;
ქაღალდის ზომა 60×90_{1/16}; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 4.25;
საარტიკულო-საგამომცემლო თაბახი 3,5.

უფ 01134; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 3817.

ფასი 50 კაპ.

„კომპოზიტორი“ გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19